



ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/
Akhali Ganatleba

№9 (923) ბაზოლინ 1998 წლიდან

25-31.03.2021



19 მარტს, 88 წლის ასაკში, გარდაიცვალა ოკუპაციის სიმბოლოდ ქცეული დათა პაპა.

„დათა რომ ჯვდებოდა, ხელებზე მაკოცა და ასე მითხრა: ჩვენ ერთად დავბერდით და აბა, შენ იცი, შენმა ქალობამო. როგორც მე არ წავართმევინე სახლი, შენც ეგრეო. არსად წახვიდე, ქართველები დაგეხმარებიან, ლუკმაპურს მოგანოდებენ, ნუ გეშინიაო!“
– ვალია ვანიშვილი



#რუსეთიროკუპანტონა

პროფესია პედაგოგი

სასკოლო განათლების სისტემაში დაუსრულებელი ექსპერიმენტები უნდა დაითავსდეს



გვესაუბრება ნოდარ ჩხანიძე, სენტ-მეზოპოლის სახელობის ფრანგულ-ქართული სკოლის ისტორიის მასწავლებელი

– პირველ რიგში, გაგვაცანი

– პროფესიით ისტორიკოსი ვარ, ბაკალავრიატიც და მაგისტრატურაც ისტორიის მიმართულებით დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად დოქტორანტურაში ვსწავლობ, თუმცა სტატუსი შეჩერებული მაქვს, რადგან მასწავლებლების 60-კრედიტიან პროგრამას ვაგვდევარ და პარალელურად დოქტორანტურის გაველა არ ხერხდებოდა.

– როდის გადაწყვიტეთ თქვენი პროფესიული ცხოვრების სკოლასთან დაკავშირება და რას ნიშნავს თქვენთვის პროფესია მასწავლებელი?

– მაგისტრატურის დასრულების შემდეგ სამსახურს ვეძებდი, ცხადია, მასწავლებლობაზე ნაფიქრი მქონდა, თუმცა ცოტა მეშინოდა, როგორ შევძლებდი. რა თქმა უნდა, გეფიქრება ადამიანს, შევძლებ ჩავატარო საინტერესო გაკვეთილი? არც მახსოვს, პირველი გაკვეთილი როგორ ჩავატარე. მახსოვს, ძალიან ვნერვიულობდი და როცა დამთავრდა, ამოვისუნთქე. ძალიან რთული და საინტერესო პროფესიაა. თითოეულ ბავშვს თავისი სამყარო აქვს და ყველასთან საერთო ენის მონახვა ხომ ხელუწყებაა. გარდა ამისა, თან გინდა რომ ცოდნა გადასცე, თან – შენგან განსხვავებულად ფიქრობდნენ, გეკამათებოდნენ, ორიგინალურ მოსაზრებებს ამბობდნენ. თუ სკოლაში ფეხს შედგამ, მერე წამოსვლა ძალიან რთულია. ეჩვევი, ბავშვების ცხოვრებით ცხოვრებას იწყებ, მათი წარმატებები გაბედნიერებს და მარცხს ერთად განიცდი.

– დამეთანხმებით, ალბათ, რომ საქართველოში მამაკაცები, სხვადასხვა მიზეზით, ნაკლებად ირჩევენ მასწავლებლის პროფესიას. როგორ ფიქრობთ, რა კეთდება დღეს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისთვის? განიხილავთ თუ არა დაბალ ხელფასს კარგი კადრების სკოლაში წასვლის შემაფერხებელ გარემოებად?

– ცხადია, ხელფასს აქვს მნიშვნელობა და მსურველების რაოდენობაც მოიმატა, რამდენადაც ვხედავ, რაც ბუნებრივია და კარგია. იმედია, მასწავლებლობის მსურველი რიცხვი კიდევ გაიზრდება. უბრალოდ, როცა ადამიანები ხედავენ, რომ მასწავლებლები დაუსრულებლად რაღაც კრედიტებს აგროვებენ, რაღაც გამოცდებს აბარებენ, რაღაც ექსპერიმენტში არიან ჩართულნი, დამერწმუნეთ, მოტივაცია უქრება. პროფესია დაფასებული უნდა იყოს და მსურველიც მეტი იქნება. დაფასებაში ვგულისხმობ, რომ ნებისმიერი ცვლილება ამ სფეროში მხოლოდ მასწავლებლების აზრის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

– თანამედროვეობა და მასწავლებელი – რას ითხოვენ თანამედროვე მასწავლებლები მასწავლებლისგან?

– მასწავლებლები ითხოვენ, რომ იყო განსხვავებული, რაც შეიძლება საინტერესო გამოვიდეს გაკვეთილი. პანდემიამ დაგვანახა, რომ ტექნოლოგიების გამოყენება თანამედროვე საგაკვეთილო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არის დღევანდელი დღე განათლებაში. აიპოდები, აიფონები, ლეპტოპები... უკან ვეღარ დავბრუნდებით. ბევრად საინტერესო გამოდის გაკვეთილები და მასწავლებლებსაც ბევრად მოსწონთ, როდესაც ეს ტექნოლოგიები ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

– რამდენად აქტიურია ქართველი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დახვეწის ან გამრავალფეროვნების თვალსაზრისით, ჩაგიტარებთია „რასატანდარტული გაკვეთილი“?

– თუ არ ცდილობ განვითარებას, არ მოიფიქრებ რაღაც განსხვავებულს, მოსწავლეები არ მიგიღებენ და არ მოგისმენენ. ავტორიტარულად ჩატარებული გაკვეთილი, სადაც მართო მასწავლებელი ლაპარაკობს და წესრიგს სიმკაცრით ამყარებს, ძალიან მოსაწყენია და მოტივაციას უკლავს მოსწავლეს. კომპლექსური სწავლების მეთოდს, რომელზეც დიდი კამათი მიმდინარეობს, ცხადია, თავისი პლუსები აქვს და ძალიან ორიგინალურია, მაგალითად, როდესაც მოსწავლე კოლუმბის გემის მეზღვაურად ან დავით აღმაშენებლის ჯარისკაცად წარმოიდგენს თავს და შექმნის დღიურს, ჩანაწერს, რუკას ან რაიმე სხვა პროდუქტს. მაგრამ სწავლების სისტემის მთლიანად ამ მიმართულებით გადაყვანა, ვფიქრობ, ძალიან საკამათოა. თითოეულ მსგავს თემასთან შეჭიდება იმდენი გაკვეთილი სჭირდება, რომ სემესტრში შეიძლება, მაქსიმუმ, 3-4 თემის გავლა მოასწრო. მართალია, მოსწავლე საინტერესო უნარ-ჩვევებს იძენს, მაგრამ ფაქტობრივი ცოდნის გარეშე ისტორია არ არსებობს. ვთქვათ, დავითი, თამარი, ლაშა-გიორგი ვასნაველი, როგორღაც იქნებ რუსუდანიც მივაყოლე. დანარჩენ საკითხებს რა ვუყოთ? ან ნინა პერიოდი, ან შემდეგი საერთოდ აღარ სჭირდებათ? აქედან გამოსავალი იყო ძირითადი აქცენტის საქართველოს ისტორიაზე (შესაბამისი მსოფლიო კონტექსტებით) გადატანა, პროგრამები მოკლე უნდა იყოს, მაგრამ ისე გადაწვინებული კლასებზე, რომ სკოლის დამთავრებისას მოსწავლემ ფარსმან ქველიც იცოდეს, ვახტანგ გორგასალიც, თამარ მეფეც, ერეკლე მეორეც და ნოე ჟორდანიაც... თუ მთელ სწავლებას კომპლექსურ დავალებებზე ავაგებთ, ეს უბრალოდ შეუძლებელი იქნება, ამის დრო არ დარჩება.

ამას ისიც ემატება, რომ ევროპისა და ამერიკის ისტორიაზე, მთელ რიგ საკითხებზე, ქართულად რესურსები არ არსებობს ან თუ არსებობს, ძალიან მწირია და კომპლექსური დავალებების შესრულება რთულია. მასალა ქართულ ენაზე უნდა არსებობდეს. შემოქმედებითი დავალებები ძალიან კარგია და კარგი მასწავლებელი აუცილებლად იყენებს ამას. მეც ვიყენებ. დავით აღმაშენებელზე კინოსცენარი დანერგეს მეთერთმეტეკლასელებმა და არაჩვეულებრივი გამოვიდა. ოღონდ, როცა კომპლექსურ დავალებებზე საუბარი, სამინისტროს მხრიდან, ამას ემატება ბევრი საწერი, ბევრი სახელმძღვანელო მოთხოვნა და, რაც მთავარია, იმპერატიული ტონი – შევიშუბავთ, გადავწყვიტეთ, ანუ ყველამ ასე უნდა გააკეთოს.

– რამდენად აკმაყოფილებს სასკოლო სახელმძღვანელოები თანამედროვე მოსწავლის მოთხოვნებს, თქვენი საგნის მაგალითზე?

– სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით რაც ხდებოდა, დანაშაული იყო თაობების წინაშე, პასუხისმგებელი არავინაა. მაგალითად, მეათე კლასში დღემდე ისწავლება - მომზენი, რანკე, ჟილე მიშლე, შოტლანდიური განმანათლებლობა და ა.შ. თემები, რომელზეც ქართულად პრაქტიკულად არაფერი მოგვეძებნება. წიგნში რუკები არ არის, ვიზუალური მასალა ძალიან მწირია. არ ვიცი, როგორ მოიფიქრეს ან ამის დანერგა, ან გრიფის მინიჭება ვის მოუვიდა თავში. სტანდარტული პასუხი იყო: „მასწავლებელი თუ კარგია, ყველაფერს მოახერხებს“. ბავშვები მასწავლებლის ჯადოქრობის იმედად იყვნენ დატოვებული. სხვა საგნის სახელმძღვანელოებშიც მძიმე მდგომარეობა იყო. კარგია, რომ მეშვიდე და მერვე კლასების წიგნები შეიცვალა. რამდენადაც ვიცი, ამჯერად მეცხრე კლასის წიგნის შეცვლა იგეგმება და იმედია, მეათეც მიჰყვება. მერვე კლასის ისტორიას ახალი წიგნით ვასწავლი და რაც მანამდე გექონდა, იმას ჯობია. უბრალოდ, თუ ჩვენი განათლების სისტემა მთლიანად კომპლექსურ სწავლებაზე გადადის, მაშინ სახელმძღვანელოს აზრს ვეღარ ვხვდებით. წყაროების ბაზა გაეკეთებინათ, სადაც საჭირო რესურსებს ნახავდა მასწავლებელი, მოსწავლესაც მიუთითებდა და ისიც დავალებას ამ ბაზის დახმარებით შეასრულებდა. სახელმძღვანელო შეიძლება მასწავლებლისთვის ყოფილიყო საჭირო, რომ ამ ახალი სწავლების მეთოდს ზუსტად მიჰყოლოდა.

– განათლების სისტემა რომ გამართული არ არის, ეს უდავოა, მიზეზი ბევრია. მოსწავლეთა ცოდნის დონე უფრო და უფრო დაბლა ეშვება კლებადი პროგრესით... ცხადია, ცენტრალიზებული განათლების სისტემა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. თქვენ რას მიიჩნევთ უმთავრეს პრობლემად რის წინაშეც დღეს სასკოლო განათლების სისტემა აღმოჩნდა?

– სასკოლო განათლების სისტემაში დაუსრულებელი ექსპერიმენტები უნდა დამთავრდეს. რაღაც გვემის განხორციელებას გარკვეული დრო სჭირდება, არ შეიძლება რამდენიმე მინისტრიც შეიცვალა, ყველას ახალ-ახალი იდეები აწუხებდეს და მერე ამ იდეებს მასწავლებლებზე ცდიდნენ. მასწავლებლების გამოცდაში თავისთავად ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ჩემს დარგზე შემიძლია ვთქვა, რომ ეს პროფესიული გამოცდა რეალურად ბევრს არაფერს ამბობს. ამ გამოცდას ისტორიაში მალაღობა კლასის მოსწავლე თავისუფლად ჩააბარებს, არათუ მასწავლებელი. შეიძლება დიპლომში გინერია – ექიმი, ინჟინერი, მხატვარი, ქიმიკოსი ან ნებისმი-

ერი სხვა პროფესია, ვთქვათ, როგორღაც მოახერხე ისტორიის ამ გამოცდის ჩაბარება და გზა ხსნილი გაქვს, ისტორიის მასწავლებელი იყო, ეს სწორია? ისე გამოდის, რომ ყველას ყველაფრის მასწავლებლობა შეუძლია იყოს და ცოდნას მნიშვნელობა არ აქვს.

– რა მდგომარეობაა დღეს მასწავლებლების კვალიფიკაციის მხრივ ქვეყანაში? რეალურად, რა ტიპის გადამზადება სჭირდებათ მასწავლებლებს და რამდენად სწორად ზრუნავს განათლების სისტემა პედაგოგის პროფესიულ განვითარებაზე?

– ტრენინგებსა და გადამზადებებში ცუდს ვერაფერს ვხედავ, უბრალოდ, როცა რაღაც დაუსრულებლად გრძელდება, რუტინა მასწავლებლისთვის და საბოლოოდ შედეგი არ დგება, ბუნებრივია, მასწავლებლის მოტივაცია იკარგება. საბოლოო შედეგით უნდა განისაზღვროს: ჩავატარეთ ტრენინგები, ვინ გამოიყენა პრაქტიკაში ან გაამართლა? ამდენი თანხა დაინარჯა და რა შედეგი მივიღეთ? იქნებ ტყუილად იხარჯება თანხები. მოძრაობას სულ ვხედავ, რაღაც გადამზადებებს, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით შედეგს ვერ ვხედავ.

– ნოდარ, ჩემი ყურადღება სოციალურ ქსელში გავრცელებულმა თქვენმა სტატუსმა მიიქცია, სადაც ლიად საუბრობთ სასკოლო განათლებაში მიმდინარე პროცესებზე, არსებულ რეალობაზე. მინდა, თქვენი ეს გამოხმაურება იმ პედაგოგებსაც გაეუზიაროთ, რომლებსაც კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის არქონის გამო (სამწუხაროდ, ასეთები საკმაოდ ბევრნი არიან) წაუკითხავი დარჩა.

– „ზოგადად, მასწავლებლები რომ სიახლეებს არ ლეზულობენ, არის მითი. ცხადია, ყველა სიახლის მიმართ კითხვები ჩნდება. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ნებით, ძალით, ყველა შემოთავაზებულ სიახლეს წლების განმავლობაში მასწავლებლები მიყვებოდნენ, სხვა გზა არ ჰქონდათ.“

კრედიტებსაც აგროვებდნენ, იმ ფურცლებსაც ავსებდნენ (რომელსაც არავინ კითხულობდა და კითხულობს), ტრენინგებზეც დადიოდნენ, თეორიებსაც ეცნობდნენ, სამინისტროს მიერ ტაშისკვრივ დამტკიცებული უვარგისი სახელმძღვანელოებითაც წვალობდნენ, შრომობდნენ. კარგ მასწავლებლებზე ვამბობ.

იგივე სამინისტრომ გაარკვია, რომ კრედიტების გროვება სისულელე ყოფილა, ფურცლები ტყუილად ავსებინა ამ ხალხს, 20 000 ტრენინგი გაატარა და საბოლოოდ შედეგი არ დადგა, რა ადგილზეც ვიყავით, იმაზე წინ არ ვართ ყოველ შემთხვევაში. დაკარგული დრო, საათები, რაც ბავშვებს უნდა მოხმარებოდა, ტყუილად დახარჯული ენერჯია ვილას ახსოვს და პასუხისმგებელი ვინაა? არადა, ნაწილი, იმ დროსაც, ამერიკელი და ევროპელი მეცნიერების სახელმძღვანელოებზე ვამბობ. ასე იყო თუ ისე, ეს ყველაფერი გამოცდილებაზე დარჩა, უნდობლობა გაჩნდა და არსებობს დღემდე.

დაინყეს რეფორმა, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად ცვლის სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს.

წინა გამოცდილებიდან გამომდინარე და თან, როცა ამხელა საქმეს იწყებ, ბუნებრივია, რეფორმა უნდა ყოფილიყო ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი: გარჩევა უნდა ყოფილიყო ტელევიზიითაც, უნივერსიტეტშიც, ყველა სკოლაში, საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან ერთად. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. განათლების სისტემაში პანაცეა არ არსებობს, ყველაფერს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი.

ხალხი, რომლებიც ექსპერტებად გამოცხვენენ ამ ახალი სკოლის მოდელის მიმართულებით, სამწუხაროდ, ერთმანეთს დაემსგავსნენ: კომპლექსური სწავლების მეთოდს გამოცხადებული აქვთ უპირობო ჭეშმარიტებად, უცდომლად, ვისაც არ მოსწონს ახალი სწავლების სისტემა: არის ჩამორჩენილი, ბნელი, უფიცი, არ გაუგია ბლუმი, სკინერი, გარდნერი და სხვები. მხოლოდ კომუნისტური – „ადექი, მოყვი“ იცის და იმიტომ არ მოსწონს! სხვა ვერსია არ არსებობს!

დამახასიათებელი სწობიზმი: აი, გოიმბი, სოლო ტაქსონომია არ იციან, სამიზნე ცნებებს ვერ იგებებიან. აუცილებლად უნდა მოწონდეს ყველას! ჩამორჩენილის იარაღის ვერ გადარჩებით.

მასწავლებელთა სახლის დირექტორი ამბობს, რომ საგნები ცალ-ცალკე არ მომწონს: ფიზიკა ცალკე არ უნდა ისწავლებოდეს, ქიმია ცალკე არაო. არადა 2024 წლამდე განერილია უკვე ის გეგმა, რომელიც თვითონვე დაამტკიცეს დიდი ზარზემით. რა გააკეთოს ახლა მასწავლებელმა? დაბნეულობას იწვევს, ბუნებრივია, იმიტომ რომ ყველამ იცის, რა იდეაც მოუვიდათ, თუნდაც ყველაზე გიჟური, ყველაფერს გაათრევენ ისე, რომ მასწავლებლების აზრი არც აინტერესებთ“.

– დაბოლოს, როგორია თქვენი თვალთ დანახული თანამედროვე ქართველი მასწავლებელი?

– თანამედროვე ქართველი მასწავლებელი არ არის თავისუფალი. ბიუროკრატით, სქემით, ცუდი სახელმძღვანელოებით, დაუსრულებელი ექსპერიმენტებით დალაღეს. თუ დეცენტრალიზაციაზე დაინყეს ლაპარაკი, მაშინ მასწავლებლებს თავისუფლება უნდა მიეცეთ და უნდა აცალონ მეთოდების არჩევაც. საბოლოოდ, შედეგით და მოსწავლეების ცოდნით განისაზღვრება ვისი მეთოდი ჯობდა და ვისი უარესი იყო.

2021 წლის გამოცდებზე დარების ტრიკიკულტა შუალედური სტატისტიკა

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, სტუდენტთა საგრანტო კონკურსისათვის, საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის, უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდისათვის, აგრეთვე მასწავლებელთა საგნის გამოცდისა და საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურებლად რეგისტრაცია პირველი მარტის 10:00 საათიდან დაიწყო და 31 მარტის 18:00 საათზე დასრულდება.

22 მარტის 11:00 საათის მონაცემები ასეთია:

- ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია 19200-მდე აბიტურიენტმა გაიარა;
- სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის სურვილი 1000-მდე სტუდენტმა გამოთქვა;
- საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის ელექტრონული განაცხადი 3 400-ზე მეტმა შეავსო;
- მასწავლებელთა საგნის გამოცდაზე და საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურებლად 14 000-მდე მსურველი დარეგისტრირდა – ამ ჩამონათვალში არიან ის კანდიდატები, რომლებიც 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით დარეგისტრირდნენ საგნობრივი ან/და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურების ტესტირებაზე.
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი კიდევ ერთხელ შეახსენებს 2021 წლის გამოცდებში მონაწილეობის მსურველებს, რომ 31 მარტის 18:00 საათის შემდეგ ისინი გა-



მომცდებისათვის ველარ დარეგისტრირდებიან.

„გამოცდებზე რეგისტრაციის დასრულებამდე 10 დღე რჩება. მოვულოდებ ყველას, განსაკუთრებით კი აბიტურიენტებს, რომ ეს პროცესი არ მიიყვანონ ბოლო დღეებამდე. მოგეხსენებათ, თუ აბიტურიენტები არ დარეგისტრირდებიან 31 მარტის 18:00 საათამდე, ველარ გადავლენ რეგისტრაციის მომდევნო ეტაპზე და, შესაბამისად, გამოეთიშებიან საგამოცდო პროცესს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 24 მარტს გვექნება ონლაინ ღია კარის დღე ყველა აბიტურიენტისათვის, მთელი საქართველოს მასშტაბით. საინფორმაციო შეხვედრის მთავარი თემა სწორედ 2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაცია იქნება,“ – აღნიშნა სოფიო გორგოძემ ბრიფინგზე.

აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესი წელსაც რამდენიმე ეტაპად ტარდება:

- ძირითად ეტაპზე (31 მარტის 18:00 საათამდე) აბიტურიენტმა უნდა ჩაწეროს სარეგისტრაციო გრაფაში პირადი მონაცემები, აირჩიოს საგამოცდო ქალაქი და ჩასაბარებელი საგნები.
- საგნის შეცვლა ან დამატება, ასევე გამოცდის ენის შეცვლა აბიტურიენტებს რეგისტრაციის მეორე ეტაპზე (15 აპრილის 18:00 საათამდე) შეეძლება, თუმცა ველარ შეცვლიან საგამოცდო ქალაქს, საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა კი აბიტურიენტებს აპელაციის შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის ჩათვლით ექნებათ. კონკრეტული რიცხვი დაზუსტებისათვის გამოქვეყნდება.
- გამოცდებში მონაწილეობის მსურველთა მაქსიმალური ინფორმირების მიზნით შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა სხვადასხვა სახის საინფორმაციო მასალა მოამზადა, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.naec.ge
- აბიტურიენტებისათვის – „ცნობარი აბიტურიენტებისთვის“ (ინფორმაცია მომზადდა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე);
- მასწავლებლის ტესტირებაში მონაწილეებისათვის – დამხმარე კრებულები;
- მაგისტრანტობის მსურველებისათვის – 2020 წლის გამოცდაზე გამოყენებული ტესტები;
- სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეებისათვის – „2020 წლის გამოცდაზე გამოყენებული ტესტები“; ცნობარი და ტესტურ დავალებათა ნიმუშები“.
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ურჩევს გამოცდაცდებებს, ენდონ მხოლოდ ოფიციალურ ვებგვერდებზე: www.naec.ge და ფეისბუქგვერდზე <https://www.facebook.com/www.naec.ge/> განთავსებულ ინფორმაციას.

ხშირად დასმული კითხვები 2021

რას ცვლილება შეიძლება არის სარეგისტრაციო მათემატიკის ტესტირებაში?

წინა წლებში გამოყენებული მათემატიკის ტესტები შედგებოდა 40 (30 დახურული და 10 ღია ტიპის) დავალებისაგან. ტესტის მაქსიმალური ქულა იყო 59, ტესტის შესრულებისათვის გამოყოფილი დრო კი – 3 სთ და 40 წთ; მინიმალური ბარიერი – არანაკლებ 12 ქულია (უნივერსიტეტებს უფლება ჰქონდათ, უფრო მაღალი ბარიერი დაენიშებინათ). 2021 წლის გამოცდისთვის მათემატიკის საგამოცდო ტესტის ფორმატში შემდეგი ცვლილებები დაგეგმილია: ტესტში იქნება 35 (27 დახურული და 8 ღია ტიპის) დავალება, მაქსიმალური ქულა კი – 51. ღია დავალებები შედგენილი იქნება ორი ორქულიანი, ოთხი სამქულიანი და ორი ოთხქულიანი დავალებისაგან. ამოღებული იქნება პლანიმეტრიის 4-ქულიანი დავალება.

ქიმიის გამოცდისთვის ტიპის რამდენი ამოცანა შეგეგმება და რას ეძებთ მათი გამოყვანის დროს ყურადღება?

პირველ რიგში, დავაზუსტოთ – გამოთვლითი ტიპის ამოცანებში თუ ვგულისხმობთ იმ დავალებებს, რომლებიც ამოხსნის გზის ჩვენებას მოითხოვს, მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, შემცირდება. კერძოდ, 3-ის ნაცვლად, იქნება 2. ასეთი დავალებების შეფასებისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება ექცევა ამოხსნის გზის სისწორეს. გაითვალისწინეთ, რომ ამოხსნის გზა ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი. ასევე მნიშვნელოვანია, სწორად იყოს შესრულებული საჭირო გამოთვლები. ცალკეულ დავალებათა შეფასების დეტალებს შეგიძლიათ გაეცნოთ შეფასების სქემებიდან, რომლებიც ცენტრის ვებგვერდზე ქიმიის გამოცდაზე გამოყენებულ ტესტთან ერთად არის გამოქვეყნებული.

როგორც ვიცით, ქიმიის გამოცდას გარკვეული ცვლილება შეიძლება არის – შეგიძლიათ საგამოცდო დრო და მასხარაული მუხა. რის სარგებზე?

დავალდებულების რაოდენობის შემცირება იმ პრინციპით მოხდება, რომ საგამოცდო დრო სასვებით საკმარისი იყოს ტესტის შესასრულებლად და, ამასთანავე, შენარჩუნდეს ტესტის სისრულის დონე. ასევე შენარჩუნდება დავალებათა ტიპები, თუმცა მათი რაოდენობა შემცირდება. შემცირდება როგორც არჩევითი პასუხებიანი, ასევე ღია დავალებების რაოდენობა. მაგალითად, თუ 75-ქულიანი ტესტში იყო 30 არჩევითი პასუხებიანი დავალება, 63-ქულიანი ტესტში მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, 24 ან 25 იქნება. პროპორციულად შემცირდება ღია დავალებების რაოდენობაც. ბარიერი დარჩება 25%-იანი, თუმცა მაქსიმალური ქულის შემცირებასთან ერთად დაიწვეს მინიმალური ქულების რაოდენობაც, კერძოდ, ბარიერის გადასალახად საჭირო იქნება მინიმუმ 16 ქულის დაგროვება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ უფლება, თავად დააწესონ უფრო მაღალი ბარიერი.

ინგლისური ენის ტესტირება რამდენი მოსმენის დავალება იქნება?

უცხოური ენის ტესტი ორი მოსმენის დავალებით იწყება. პირველი დავალება შედგება 5 მოკლე ტექსტისგან, მეორე კი – ერთი, შედარებით ვრცელი ტექსტისგან. დავალების მოსმენა ხდება ორჯერ. ჩვენი რეკომენდაცია: თუ შეკითხვაზე გაგიჭირდათ პასუხის გაცემა პირველი მოსმენით, გადადით მომდევნო კითხვაზე და მეორე მოსმენისას გაეცით მას პასუხი. იხელმძღვანელებთ კრებულებით, რომლებშიც კარგად ჩანს, თუ როგორ უნდა შეასრულოთ დავალებები. კრებულის სანახავედ უნდა შეხვიდეთ ცენტრის ვებგვერდზე და ზედა მენიუში ჩამოშალოთ ბმული – ერთიანი ეროვნული გამოცდები. აბიტურიენტებმა ასევე აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ არ დაწერონ პასუხების ფურცელზე სახელი და გვარი, ან რაიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშანი, ამ შემთხვევაში დავალება არ გასწორდება და შეფასდება ნულით.

და გვარი, ან რაიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშანი, ამ შემთხვევაში დავალება არ გასწორდება და შეფასდება ნულით.

ინგლისური ტექსტის მოსმენისას ვხედავთ თუ არა შესაბამის ტესტისას?

მოსმენისას, ცხადია, ხედავთ დავალებასაც. ისმენთ ტექსტს და ამავე დროს ხედავთ ამ ტექსტთან დაკავშირებულ შეკითხვებს. მოსმენილის მიხედვით, რაც გეხმობს, თქვენ უნდა მონიშნოთ სწორი პასუხები.

თუ იძნეა რამე სახის ცვლილება ინგლისური ენის გამოცდაზე?

უცხოური ენის ტესტი სიახლეები გასულ წელს შევიდა, შესაბამისად, წელს ამის საჭიროება არ ყოფილა, რადგან ტესტი სტრუქტურულად საკმაოდ დაბალანსებულია. უცხოური ენის ტესტი მოსმენის ორი დავალებით იწყება, რომელიც შედგება 5 მოკლე და ერთი შედარებით ვრცელი ტექსტისაგან. დავალების მოსმენა ხდება ორჯერ. ჩვენი რეკომენდაცია: თუ შეკითხვაზე გაგიჭირდათ პასუხის გაცემა პირველი მოსმენით, გადადით მომდევნო კითხვაზე და მეორე მოსმენისას გაეცით მას პასუხი. იხელმძღვანელებთ კრებულებით, რომლებშიც კარგად ჩანს, თუ როგორ უნდა შეასრულოთ დავალებები. აბიტურიენტებმა ასევე აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ არ დაწერონ პასუხების ფურცელზე სახელი და გვარი, ან რაიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშანი – ამ შემთხვევაში დავალება არ გასწორდება. წერით დავალებებში ჩვენ ვითხოვთ დაახლოებით 150 სიტყვას, შეგიძლიათ უფრო დიდი ტექსტიც დაწეროთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში იმატებს შეცდომების დაშვების ალბათობაც.

ინგლისური ენის თემატიკის უპირატესობას რით უნდა შევადარებთ წინადადებას ანტიკვებით თუ მარტივად შედგენილ და კონტარაგუმენტაში თუ არის საჭირო?

თქვენ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ რთული თანწყობილი და რთული ქვეყნობილი წინადადებები, თუ მაღალი ქულის მიღება გსურთ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, არ დაწეროთ დაზეპირებული, შაბლონური ფრაზები. ნაწერში უნდა ჩანდეს თქვენი აზროვნება და პირადი დამოკიდებულებები. რაც შეეხება კონტარაგუმენტებს, ამის აუცილებლობა არ არის – რამდენიმე ლოგიკური არგუმენტის მოყვანაც საკმარისი იქნება.

ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას თუ შეიძლება ცვლილება იქნება და რა რეკომენდაციები შეგიძლიათ მოგვცეთ გამოცდებისათვის აბიტურიენტებს?

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტში წელს ცვლილებები არ შესულა და ისევ მხოლოდ სამი დავალება იქნება შესასრულებელი. რაც შეეხება უშუალოდ საგამოცდო პროცესს, აბიტურიენტებს გირჩევთ გაეცნოთ ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებულს. ამასთან, ყურადღებით მოეკიდეთ პასუხების ფურცლის შევსებას, რადგან სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი. მიუხედავად იმისა, რომ კალენდრისა და ყურადღებას არ ვაქცევთ, ეცადეთ ისე შეასრულოთ დავალება, რომ მისი ნაკითხვა და შეფასება იყოს შესაძლებელი. გვინდა საგანგებოდ შეგეხობთ დამოუკიდებელი აზროვნების კრიტერიუმს, რადგან ის გაითვალისწინებულია როგორც მხატვრული ტექსტის ანალიზისას, ისე არგუმენტირებული ესეის შეფასებისას. ამ კრიტერიუმით ფასდება, თუ როგორია აბიტურიენტის დამოკიდებულება დასმული პრობლემის მიმართ და რამდენად არაშაბლონურად მსჯელობს იგი დავალებაში დასმული პრობლემების გარშემო.

ქართულში რა შემთხვევაში უნდა იქნას ნული ქულით?

სხვადასხვა დავალების შეფასებისათვის განსხვავებული

კრიტერიუმები გამოიყენება. ამ კრიტერიუმებით განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში იწერება 0 როგორც ცალკეული კომპონენტის, ისე მთელი ნაშრომის შეფასებისას. გარდა კრიტერიუმებისა, როგორც ტესტის, ასევე ცალკეულ დავალებათა ინსტრუქციებში მითითებულია ის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის დავალება ფასდება 0 ქულით. ასე მაგალითად, ნაშრომში დაუმუშავებელია აბიტურიენტის სახელი-სა და გვარის, ან იდენტიფიკაციის სხვა საშუალების მითითება. ის დავალება, რომელშიც ამგვარი მითითება იქნება, შეფასდება 0 ქულით.

ქართული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ურჩევს ყურადღებას ეძებთ თუ ლიტერატურის ცოდნას?

ჩვენი ტესტური დავალებები არ ამოწმებს გრამატიკის თეორიულ საკითხებს, მაგრამ სამივე დავალების შეფასებისას გათვალისწინებულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და მართლწერის წესების პრაქტიკულად გამოყენების უნარი. რაც შეეხება ლიტერატურის ცოდნას, მხატვრული ტექსტის გააზრების უნარს, საგანგებოდ ის მონიშნავს მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასებისას, თუმცა ლიტერატურის ცოდნა ასევე მნიშვნელოვანია არგუმენტირებული ესეის დავალების კარგად შესასრულებლად.

შეგიძლიათ თუ არა მოვყვებით მწერლის ბიოგრაფიას ან თუ ფაქტობრივ ცოდნაში მომხმარებელია თუ არა მითხმოს?

სხვადასხვა დავალება სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს. ჩვენ არ ვთხოვთ აბიტურიენტებს მწერლის ბიოგრაფიის დაწვრილებით ცოდნას, თუმცა თუ დავალების პირობა და კონტექსტი მოითხოვს, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ბიოგრაფიული ცნობებიც გამოიყენოთ.

ისტორიის გამოცდაზე რას უნდა დავალებების შესრულება მოგვინდოს?

წელს ისევე, როგორც 2020 წლის გამოცდაზე გვექნება მრავალფეროვანი დავალებები: სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროების ანალიზი, კერძოდ, ისტორიული რუკის ნაკითხვა, ილუსტრაციების, წერილობითი წყაროს ანალიზი. ასევე ტესტში მოცემული იქნება გარკვეული ისტორიული მოვლენის გარშემო ჩამოყალიბებული განსხვავებული შეხედულებები, რომელთა სასარგებლოდ აბიტურიენტებმა საკუთარი არგუმენტები უნდა მოიყვანონ და სხვ. ტესტურ დავალებათა უმრავლესობა სააზროვნო და კონკრეტული უნარების წარმოჩენაზეა ორიენტირებული. მოწმდება, რამდენად შეუძლია გამოსაცდელს მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა, დროში ორიენტირება, კრიტიკული ანალიზის უნარი. შარშან ტესტს დამატება ისტორიული მოვლენის შეფასების დავალება, ძალიან მნიშვნელოვანი დავალება. ჩვენი რეკომენდაცია, აბიტურიენტებმა კონკრეტული პასუხები გასცენ დასმულ კითხვებს და არა ძალიან ზოგადი პასუხები, რათა ამის გამო ქულა არ დააკლდეთ. მნიშვნელოვანია ნაწერი იყოს მკაფიო, რომ გამსწორებელმა შეძლოს აზრის ამოკითხვა, ასევე დავალების დასაწერად იმყოფინონ გამოყოფილი სივრცე, რადგან ტესტი იჭრება (იმის გამო, რომ ნაწილ-ნაწილ სწორდება) და შესაძლოა ნაწერიც მოიჭრას.

ისტორიის ტესტირება თუ შეიძლება რამე?

ისტორიის გამოცდას წელს ცვლილება არ შეეხება. ტესტი ისევე 60-ქულიანია და საგამოცდო დრო 2 საათი და 40 წუთია. აბიტურიენტებს ვურჩევთ, ყოველთვის ყურადღებით გაეცნონ დავალების პირობას. ხშირად მათ ქულა იმის გამო აკლდებათ, რომ დასმულ კითხვას ძალიან ზოგადად პასუხობენ, როცა პირობა კონკრეტულ პასუხს ითხოვს მათგან. რაც შეეხება მომზადებას, შეუძლიათ გამოიყენონ ერთიანი ცენტრის (XI-XII კლასების) სახელმძღვანელოები. არც ერთი საკითხი არ სცილდება იმ პროგრამის ჩარჩოებს, რომელსაც ჩვენ ვაქვეყნებთ ცენტრის ვებგვერდზე.

რას უიქრობენ აბიტურიენტები პროგნოზულ გამოცდაზე

საბა ჭიჭყარიანი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებლოს საჯარო სკოლა:

პანდემიამ მართლაც უამრავი პრობლემა შექმნა, მათ შორის განათლების სისტემაში. პანდემიის პირობებში ჩვენც ონლაინ სწავლებაზე მოგვინია გადასვლა და ამას, რა თქმა უნდა, ცალკე პრობლემები მოჰყვა, რამაც სწავლის ხარისხი გააუარესა. მეტ-ნაკლებად ვახერხებ გამოცდებისთვის მომზადებას. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, აუცილებლად შევცვლიდი ონლაინ სწავლებას აუდიტორიაში სწავლებით.

უპირატესობას ვანიჭებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რადგან ვფიქრობ, სწავლების დონით, ერთ-ერთი წამყვანი და ძლიერი უნივერსიტეტია. ჩემი სურვილია, ჩავირიცხო იურიდიულ ფაკულტეტზე და საფუძვლიანად დავეუფლო ამ პროფესიას, რომლის არჩევის გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღე.

ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით, ვფიქრობ, საკმარისად ვფლობ ინფორმაციას, ინტერნეტისა და მასწავლებლების დახმარებით.

ქასო მებრძოლი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლა:

მომავალ პროფესიად ფსიქოლოგია ავირჩიე. ზოგადად, ფსიქოლოგია განსხვავებული სფეროა და მიყვარს, როცა რამე პრობლემა მქონდა, ყოველთვის ჩემით ვავაგრებდი. ასევე მიყვარს, როცა სხვას ვეხმარები - ბავშვებს, მეგობრებს თუ უფროსებს, მნიშვნელობა არა აქვს. თუ რამე უჭირთ, ვცდილობ, დავეხმარო. ფსიქოლოგიაშიც მთავარი ეგაა - დაეხმარო და გვერდში დაუდგე სხვას, ეს პრინციპი კი ჩემთვისაც ასევე მნიშვნელოვანია, მინდა, სხვებს დავეხმარო. ამიტომ გადავწყვიტე, გავხდე ფსიქოლოგი და, ვიმედოვნებ, გავხდები კიდევ, რომ დავეხმარო ყველას, ვისაც ეს დასჭირდება.

სწორედ ამიტომ მომწონს სამართალიც, ორივე ფაკულტეტი მინერია, თუმცა დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რომელს ავირჩევ. ორივე ისეთია, ვიღაცას უნდა დაეხმარო, ჩემთვის კი მთავარი ესაა. თუმცა, არჩევანის წინაშე რომ დავდგე, ალბათ, მაინც უფრო ფსიქოლოგია...

გადაწყვეტილება ჩემით მივიღე, რადგან მაინტერესებდა ფსიქოლოგია. უფროსები არ ჩარეულან, გაუხარდათ, როცა ჩემი გადაწყვეტილება ვაცნობე.

დათო დვალაძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლა:

ჩემი სწავლის ხარისხზე პანდემიას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია, პირიქით - უფრო მეტი დრო მრჩებოდა გამოცდებისთვის მოსამზადებლად, ამას ხელი ონლაინ სწავლებამ შეუწყო. უპირატესობას აგრარულ უნივერსიტეტს ვანიჭებ, რადგან ჩემთვის მისაღები ფაკულტეტები და ბევრი გაცვლითი პროგრამები აქვთ, რაც მომავალში ხელს შეუწყობს ჩემს განვითარებას. პროფესიად ვეტერინარიას ვირჩევ, რადგან ძალიან მიყვარს ცხოველები, მათი მოვლა. ვფიქრობ, სწორი ვათვლა მაქვს, რადგან ეს პროფესია საქართველოში საკმაოდ მოთხოვნილია, მით უფრო - მთიანი რაჭისთვის. ალბათ, ამ

კუთხით, მომავალში, დასაქმებაც გამიადვილდება. პროფესიის არჩევის გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას ინტერნეტით ვახერხებ, ასევე ვეკითხები ჩემს უფროს მეგობრებს, რომლებმაც გასულ წელს ჩააბარეს სხვადასხვა უნივერსიტეტში და საკმარისი გამოცდილება აქვთ.

ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელი, ასე თუ ისე, მომწონს, კარგია, რომ ნელ-ნელა იხვეწება და ეტაპობრივად გარკვეული ცვლილებები შედის. მომწონს, რომ გააუქმეს უნარების გამოცდა. ვფიქრობ, ზოგიერთი პროფესია უნარებში გამოცდის ჩაბარებას არ საჭიროებს და, ხშირ შემთხვევაში, ამ საგნის მომზადებაში დროს ტყუილად კარგავდი.

შევცვლიდი, ასევე, სავალდებულო გამოცდების ჩაბარებას. ვფიქრობ, სამედიცინოზე ან ვეტერინარიაზე, მესამე საგნად, ისტორიის ჩაბარება ზედმეტია და მომავალ პროფესიაში არაფერში გეხმარება. ჩემი აზრით, ყველა ფაკულტეტზე პროფესიის შესაბამისი საგნები უნდა ბარდებოდეს, რაც აბიტურიენტს პროფესიის საფუძვლიანად შესწავლაში დაეხმარება.

მაკა ზედაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ საჭმანის საჯარო სკოლა:

ვაპირებ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარო უცხო ენების ფაკულტეტზე, ინგლისურის განხრით, რადგან მიყვარს ეს ენა, მაინტერესებს და უფრო კარგად ვეწყობი სხვა ენებთან შედარებით. მქონია შეხება რუსულთანაც, მაგრამ ინგლისურმა უფრო დამაინტერესა. სკოლაშიც ამ ენას ვსწავლობ, პატარა ნაწარმოებებიც წამიკითხავს, მითარგმნია კიდევ და თემებიც დამინერია. სამომავლოდ რა გზას დავადგები, ჯერ ზუსტად გადაწყვეტილი არ მაქვს, მაგრამ, ალბათ, უფრო სხვა სფეროში წავალ, სადაც ეს ენა გამოყენებადი იქნება.

სპეციალობის არჩევას გადაწყვეტილება მე თვითონ მივიღე. უფროსები რჩევებს კი მაძლევენ, მაგალითად, ერთ-ერთი შემოთავაზება სამედიცინო გზით წასვლა იყო, მაგრამ ეს სფერო არ მაინტერესებს და ისევე უცხო ენები ვარჩიე. აი, ფსიქოლოგობაზე კი მივიქირა და, სიმართლე გითხრათ, ახლაც ორივეზე ვფიქრობ. დანუსტებით ჯერ არ ვიცი, მაგრამ საბოლოოდ უფრო უცხო ენისკენ წავალ - ამან უფრო გადაამძალა.

სკოლაში პროფესიული სწავლების მიმართულებით რაღაც პროექტები იყო და ამ მიმართულებასთანაც მქონია შეხება. მაგალითად, ოზურგეთიდან კოლეჯ „ჰორიზონტს“ ჰქონდა პროექტები - იყო სამკერვალო, სტილისტი და სხვ. ვსწავლობდი, მაგრამ ისეთი დაინტერესება არ მქონია, რომ ამ მიმართულებით წავსულიყავი.

თემურ სინარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბა ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა:

სამომავლოდ ისტორიკოსობას ვაპირებ და ეს სპეციალობა ავირჩიე. იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტები ვხდებით და დამოუკიდებლობისკენ ჩვენი პირველი ნაბიჯებია, როგორც სრულყოფილმა პიროვნებამ, პირადად მე ავირჩიე ეს სპეციალობა, არჩევანში არავინ ჩამირევია. მშობლებიც მე უბნებოდნენ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას თავიდან ბო-

ლომდე თავისუფალი უნდა ვყოფილიყავი. როცა ისტორია ავირჩიე, მათაც მოენონათ და მასწავლებლებსაც.

არჩევანი იმან განაპირობა, რომ ისტორია ძალიან მაინტერესებს და სკოლაში ჩემი საყვარელი საგანიც ესაა, ქართულ ენასა და ლიტერატურასთან ერთად. სურვილი მაქვს, ფუნდამენტურად შევისწავლო ისტორია, არა მხოლოდ საქართველოსი და გავიაზრო თავიდან ბოლომდე.

თუმცა ფსიქოლოგიაზეც ვფიქრობდი, რადგან მაინტერესებდა ადამიანის ქცევების შესწავლა და მათზე დაკვირვება, მაგრამ მერე მაინც ისტორიული გადავწყვიტე. სხვათა შორის, პროფესიულ განათლებაზეც მიფიქრებდა და იმაზეც, რომ ამ სასწავლებლის პარალელურად, პროფესიული განათლების კურსიც გავიარო რომელიმე სფეროში, თუმცა რომელში, კონკრეტულად ჯერ არ ამირჩევია.

ბუნებრივია, პანდემია ხელს მიშლიდა, რადგან ონლაინ-სწავლება არაა ისეთი, როგორც საჭიროა და როგორც უნდა იყოს, იქიდან გამომდინარე, რომ სოფლებში ხალხს ხშირად ინტერნეტზეც არ მიუწვდება ხელი. მართალია, მე ამის პრობლემა არ მაქვს, მაგრამ ონლაინ სწავლებით კმაყოფილი მაინც არ ვარ. ინფორმაცია კი იყო ხელისაწვდომი, რაშიც გვეხმარებოდა ინტერნეტიც, სკოლაც, მასწავლებლებიც, მაგრამ დისტანციური სწავლება მაინც არაა ისეთი, როგორც საკლასო ოთახში, როცა მოსწავლეს პირისპირ უზიხარ, გაკვეთილს ისე უხსნი და, თავის მხრივ, ისიც გაბარებს გაკვეთილს.

ნაზიმოლა ახალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კონხარის საჯარო სკოლა:

ვაპირებ, თბილისში ჩავაბარო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის განხრით, რადგან, ზოგადად, მიყვარს მხატვრული ლიტერატურა და ბავშვებთან ურთიერთობა. სამომავლოდ ჩემს თავს უფრო მასწავლებლის პროფესიაში ვხედავ.

არჩევანი ჩემით გავაკეთე, სხვათა ჩარევის გარეშე. როცა ვუყურებდი მასწავლებლებს, როგორ გვესაუბრებოდნენ და გვიხსნიდნენ, მეც გამიჩნდა სურვილი, მათსავით მასწავლებელი გამოვსულიყავი. ილიას უნივერსიტეტის თანამშრომლებთან მქონდა ურთიერთობა და ისინი მეხმარებოდნენ რჩევებით პროფესიასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიდიოდა იქ სწავლება, ეს რჩევები გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარა.

თუმცა სხვა პროფესიებზეც მიფიქრია. მაგალითად, მომწონს ტურიზმი, მაგრამ ბავშვებთან ურთიერთობა უფრო მომწონს. კი, იმ სფეროშიც შექნებოდა ურთიერთობა ტურისტებთან, მაგრამ როცა ბავშვებთან გაქვს ურთიერთობა და მომავალი თაობის განათლებაზე ზრუნავ, ცხადია, ეს უფრო კარგია.

ონლაინ სწავლებას ჩემთვის დიდად არ შეუშლია ხელი, რადგან რამეს თუ ვერ ვაგვიცდი, დამატებით ვადვილი მასწავლებელთან კონსულტაციას - ან პირად მიმოწეოდა ვეკითხებოდი, ან ყოფილა შემთხვევა, პირადადაც მივსულვარ. თუმცა საკლასო ოთახში სწავლა მაინც უკეთესია.

მოამხადეს მაკა ყიფინაძე და ირაკლი თაყაიძე

ინფორმაცია ჩასაბარებელი საბნების შესახებ

აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისას (გარდა სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო, ასევე დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საექთნო საქმის, სამეცნიერო საქმის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებისა) გამოცდების ჩაბარება სავალდებულოა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა; მათემატიკა ან ისტორია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

აბიტურიენტები მესამე გამოცდად, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, ისტორიას ან მათემატიკას ჩააბარებენ, ზოგ პროგრამაზე კი აბიტურიენტს ამ ორი საგნიდან არჩევნის გაკეთება თავად შეეძლება.

წინადაცვის (დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საექთნო საქმის, სამეცნიერო საქმის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის) საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს შემდეგი საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხოური ენა; ბიოლოგია; მათემატიკა, ქიმია ან ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს მინიმუმ ერთს).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაბარება შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს. აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდებიან ამა თუ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ ადგილებზე, მიუხედავად ჩააბარონ ზოგადი უნარების გამოცდა სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე, ან აფხაზური ენა ან ოსური ენა. ეს აბიტურიენტები სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც სწავლა ერთი წელი გრძელდება (60 კრედიტი). ამ პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღების შემდეგ სტუდენტები დამატებითი გამოცდების გარეშე, საკუთარი არჩევნის შესაბამისად, სწავლას გააგრძელებენ იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის (4 წელი - 240 კრედიტი), დიპლომირებული სტომატოლოგის (5 წელი - 300 კრედიტი), დიპლომირებული მედიკოსის (6 წელი - 360 კრედიტი), მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო ან ვეტერინარიის

ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით (5 წელი - 300 კრედიტი). ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი გადადის შემდეგი ეტაპის დასაფინანსებლად.

სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად აბიტურიენტისათვის სავალდებულოა როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი კონკურსის გავლა, ასევე შემდეგი საგნების ჩაბარება:

ბაკალავრიატზე - ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხოური ენის. თუმცა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს, დაანუსოს დამატებითი გამოცდა შემდეგ საგანში/საგნებში: ისტორია ან/და მათემატიკა. მათემატიკაში/ისტორიაში დამატებითი გამოცდის დაწესების შემთხვევაში, აბიტურიენტი ვალდებულია, პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისათვის ჩააბაროს აღნიშნული გამოცდაც (სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა და მათემატიკა ან ისტორია. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ დააწესებს დამატებით გამოცდას (მათემატიკა/ისტორია), აბიტურიენტს თავად შეუძლია, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნით, ჩააბაროს ერთ-ერთი მათგანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის გავლის შემდეგ აბიტურიენტი აპირებს სწავლის გაგრძელებას სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, მხოლოდ აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე ზოგადი უნარების გამოცდას, ან ოსური ან აფხაზური ენის გამოცდას ჩააბარებს.

განაცხადის გაკეთება შეგიძლიათ ერთი და იმავე ან სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად.

სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე უნდა გაიარონ შესაბამისი კონკურსი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, რომლისთვისაც რეგისტრირდებიან უშუა-

ლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებენ:

ა) სამ სავალდებულო გამოცდას (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა და მათემატიკა ან ისტორია, არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით);

ბ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად ზოგადი უნარების გამოცდას სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე, ან აფხაზურ ენას ან ოსურ ენას (ეს პუნქტი ეხებათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს).

მათელმადიდებლო საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბარონ მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა. დანარჩენ გამოცდებს აბიტურიენტი აბარებს უშუალოდ მართლმადიდებლო საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

აბიტურიენტი მართლმადიდებლო საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციისას აღარ უთითებს. ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარება და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემდეგ უშუალოდ მიმართავს შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ერთიანი ეროვნული გამოცდების (ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტის, ან აფხაზური ენის ან ოსური ენის ტესტების) შედეგების საფუძველზე ჩარიცხვის მსურველები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან, ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, გაიარონ შესაბამისი კონკურსის სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად აბიტურიენტებს (საქართველოს მოქალაქეებს) უფლება აქვთ, რეიტინგულ ჩამონათვალში მიუთითონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ამ შემთხვევაში, აბიტურიენტები აბარებენ როგორც აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამისათვის, ისე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ საგნებს.

პროფესიონალთა კლასი

უკან პრჩეს კვალი განათებულში...

გიგრძენით მზის სხივისგან წამოსული მადლიერება? ეს მხოლოდ ვალმოხდელ ადამიანთა ხვედრია.

ადამიანი, რომელიც მიწა გაგაცნოთ, 60 წელია სკოლის გზას მიუყვება, არ ელოდება მადლობას, არც ტაში არის მისი მიზანი. ის მსახურია ქვეყნის, ერის, ულაპარაკოდ, უსიტყვოდ მავალი. გათენებლად დაღამებამდე საკუთარი მისიის აღმსრულებელი, მასწავლებლის საპატიო წოდების ღირსეულად მტვირთველი, უმაღლეს იდეათა მატარებელი, სიტყვის ოს-

ტატი და საქმით რჩეული, თბილისის ყოფილი შარტავას სახელობის №62 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი პედაგოგი – გულიკო ბინაძე.

21 წლის იყო, მოსწავლეთა პირისპირ რომ აღმოჩნდა, მას შემდეგ იღებდა და გასცემდა ცოდნას, მას შემდეგ გაიბა უწყვეტი ძაფი სიყვარულის, მას შემდეგ დაიწყო ბრძოლა გონებათა განათებისთვის, სრულყოფისთვის. არასოდეს უღალატია პრინციპებისთვის, არჩეული გზისთვის, ასწავლიდა და სწავლობდა. ათწლეულებმა ჩაიარა, დღესაც იმავე შემართებით აგრძელებს საკუთარი თავისა და თაობების წვრთნას.

მისი თქმით, სწავლა მუდმივი პროცესია, მის ცხოვრებაში არ ჩაუვლია დღეს ცოდნის შეძენის გარეშე. ამ პროცესულმა თვისებებმა განაპირობა პროფესიული წარმატება: უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლად აღიარება, დედაქალაქის წლის საუკეთესო პედაგოგის ტიტული, მედალი „კეთილსინდისიერი შრომისთვის“, პრეზიდენტის სტიპენდიანტობა, ღირსების ორდენი. თანამედროვე გამოწვევებს არც დღეს ეპუება და მენტორის სტატუსით აგრძელებს მოღვაწეობას. ამიტომაც მიულოცა 8 მარტი ღვანდომოსილ პედაგოგს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, ბატონმა მიხეილ ჩხენკელმა.

ის მასწავლებლთა მასწავლებელი, გზამკვლევი, ორიენტირია უკეთესი მომავლისკენ.

და თუ შენიშნავთ, ყოველ დღით, ავდარსა თუ დარში, სკოლისკენ მიმავალ, ლამაზად ჩაცმულ, სანდომიან, ზრუნვით აბრწყვილებულთვალეებთან, შეუპოვარ ქალბატონს, მიდით მასთან, გადაუხადეთ მადლობა იმ გზისთვის, რომელსაც ყოველდღე გადის მომავალი თაობის სიყვარულით, ის აუცილებლად დაირცხვენს და თავის უღამაზეს ღიმილს გაჩუქებთ.



გულიკო მასწავლებელი, მადლობას გიხდით ყველა მოსწავლის, მასწავლებლის, ქვეყნის სახელით.

ლიონი ნიჟარაძე

სსიპ ყოფილი შარტავას სახელობის ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი, ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი



საგანმანათლებლო ქარა

სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის ისტორია

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სახალხო განათლების საქმე საქართველოში და კერძოდ, გორის მაზრაში, რომლის შემადგენლობაში კასპის რაიონი შედიოდა, საგრძობლად გაუმჯობესდა. ამის შედეგი იყო ის, რომ წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა რუსეთის იმპერიაში.

პირველი სახალხო სკოლა კასპის რაიონში XIX საუკუნის 60-იან წლებში დაარსდა, რაიონის ერთ-ერთ უძველეს სოფელ ხოვლში. ეს იყო პირველი სკოლა არა მარტო კასპის რაიონში, არამედ მთლიან ქართლში. სკოლა გაიხსნა სოფლის მოწინავე საზოგადოების ძალისხმევით. თავდაპირველად, იგი მოთავსებული იყო XIX საუკუნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, იოსებ მამაცაშვილის ქალიშვილის, მარიამ იოსების ასულ მამაცაშვილ-ჯავახიშვილის სახლის პირველ სართულზე ორ ოთახში. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის მარიამ მამაცაშვილ-ჯავახიშვილის ქალიშვილი, ცნობილი მასწავლებელი ქეთევან ჯავახიშვილი: „პირველი სკოლა, რომელიც დაარსდა ქართლში, სოფლად, იყო ხოვლში 1862 წელს, დედაჩემის ხარჯზე. სახლში დედა ასწავლიდა გასათხოვარ ქალებს წერა-კითხვას, ჭრა-კერვას და დიასახლისობას“. სკოლის გახსნაში მარიამ ჯავახიშვილს დაეხმარნენ იმ პერიოდის მოწინავე საზოგადო მოღვაწეები, ამ ოჯახის მეგობარ-ამხანაგები.

ცნობილია, რომ მაშინ საღვთო რჯული აუცილებელი საგანი იყო. ეკლესია და სამღვდელეობა ცდილობდა, ხელი შეეწყო სკოლების დაარსებისათვის, რათა თავისი გავლენა უფრო მეტად გაეძლიერებინა მოსახლეობაში. ამ მიზნით, სოფლად ეკლესიის მსახურნი ხსნიდნენ სკოლებს და ასწავლიდნენ წერა-კითხვას. ამ მხრივ გამოწვევის არც სოფელი ხოვლე აღმოჩნდა. „ხოვლის ეკლესიის მღვდელმა, გიორგი კავსაძემ, ააშენა შენობა სოფლის სკოლისათვის, გახსნა იგი და თვითონვე წარმატებით ასწავლიდა ყმაწვილებს

წერა-კითხვას“. მაშასადამე, მღვდელმა კავსაძემ სკოლა გახსნა მარიამ ჯავახიშვილის სახლში არსებული სკოლის გვერდით.

ხოვლში სკოლის გახსნამ დიდად შეუწყო ხელი ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნის შეძენისადმი ინტერესის გაღვივებას. ნაქირავებ სახლებში გახსნილი სკოლებში, წერა-კითხვასთან ერთად, სხვადასხვა პროფესიებსაც ასწავლიდნენ, მაგალითად: ჭრა-კერვას, ღურგლობას და ა.შ.

ხოვლის სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა ყოველდღე იზრდებოდა. სასოფლო საქმეებისა და სხვადასხვა ხელობების, წერა-კითხვის კარგი მცოდნე აქაური ყმაწვილობა მოითხოვდა განათლებულ მასწავლებლებს. 1870 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „გორის უეზდის სოფელ ხოვლეს სასოფლო სკოლისათვის ეძებენ მასწავლებლებს“. სკოლაში მასწავლებლად ნასვლის მსურველთა გაზეთი „დროების“ რედაქციისათვის უნდა მიემართათ განცხადებით, სადაც ყოველგვარ საქმით ინფორმაციას მიიღებდნენ სკოლაში არსებული პირობების შესახებ.

სოფლის გლეხობას ყოველდღიურად მიჰყავდა ბავშვები სკოლაში, მშობლები ეხვეწებოდნენ მასწავლებლებს, რომ მათი შვილები სასწავლებელში მიეღოთ.

ხოვლის თავადაზნაურობის პროგრესული ნაწილი ეხმარებოდა სოფლის საზოგადოებას და სკოლას. მათი მხარდაჭერითა და სკოლის მოწინავე მასწავლებლის, ნიკო თარხნიშვილის ინიციატივით, დაარსდა ხოვლის სკოლის დამხმარე საზოგადოება, რომელიც ყოველმხრივ უწყობდა ხელს სკოლის განვითარებას.

სკოლის მუშაობას დიდად აფერხებდა სასწავლო წიგნების ნაკლებობა და ზოგჯერ არარსებობაც. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობა მეტის ნაკითხვას მოითხოვდა. ადგილობრივი ინტელიგენცია ხშირად აგროვებდა ფულს ქართული წიგნების შესასყიდად. 1887 წელს „ივერია“ იტყობინებოდა, რომ „ხოვლის ინტელიგენციამ ერთმანეთში მოაგროვა 27 მანეთი და ამ ფულით კიდევ გამოი-

წერა ჩარკვიანის წიგნის მალაზიიდან ქართული წიგნები“. ამავე გაზეთში მასწავლებელი ნიკო თარხნიშვილი სასიამოვნო ამბავს იუწყებოდა: ხოვლელმა გლეხობამ პირობა აღვეთქვა, თავისუფალ დროს თქვენთან ვივლით და წერა-კითხვა გვასწავლეთო. ადგილობრივი თავადაზნაურობა ფულითაც ეხმარებოდა სკოლის დამხმარე საზოგადოებას სკოლისათვის ქართული წიგნების შესასყიდად. სკოლას ფულად დახმარებას უწევდნენ კნენები – ელენე ერისთავისა, ნინო თარხნიშვილისა, გაიანე შერვაშიძისა და სხვა, რომელთა შემოწირულობითაც იმ პერიოდის ქართველი მწერლების წიგნები შეიძინეს.

ხოვლის სკოლას დიდი დახმარება გაუწია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქართული საკითხავი წიგნების მომარაგების მხრივ.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში, სოფელ ხოვლში სკოლის ახალი შენობა აშენდა, რომლის საჭიროებისათვის თბილისის გუბერნიის დირექციამ, სოფელთა მოთხოვნის შემდეგ, 100 თუმანი გამოგზავნა. ახალი სკოლის შენობა თავად ჯავახიშვილების კუთვნილ ადგილზე ააშენეს.

1887 წელს ხოვლის სკოლაში მასწავლებლად მოვიდა ადგილობრივი მკვიდრი, მარიამ იოსების ასული ჯავახიშვილის ქალიშვილი ქეთევან ჯავახიშვილი, რომელმაც დაამთავრა გორის პროგიმნაზია. ქეთევან ჯავახიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ხოვლის სკოლის გაძლიერებაში, მან პირველმა დაიწყო სოფლად ჯარში წასაყვან ახალგაზრდათა ჯგუფის მომზადება სამხედრო წესებით. „გასწავლიდი სამხედრო წესებს და წერა-კითხვას რუსულ ენაზე“, აღნიშნავდა იგი. ხოვლის სკოლაში დიდი როლი შეასრულა მოსახლეობის კულტურულ აღზრდაში, რაშიც გარკვეული ღვაწლი მიუძღვით მარიამ მამაცაშვილ-ჯავახიშვილს, მისი ოჯახის წევრებს – ქეთევან და შაქრო ჯავახიშვილებს და ივანე ჯავახიშვილსაც. მათ დააარსეს თეატრალური წრე, მოაწყვეს სალიტერატურო საღამოები. მათი მოღვაწეობით ხოვლში დაარსებულ იქნა ქართული ხალხური სიმღერების გუნდი, საიდანაც შემდგომში წამოვიდნენ ცნობილი მომღერლები და ლოტბარები – კავსაძეები. ივანე ჯავახიშვილი ხშირი სტუმარი იყო მშობლიური ხოვლისა, მას აქ სულ ახალგაზრდას ნაუკითხავს „ანდრია მოციქულის ჩამოსვლა საქართველოში“. ხოვლშივე დაარსდა სამკითხველო წიგნსაცავი, რამაც გარკვეული ბიძგი მისცა მოსახლეობის და განათლებისა და კულტურული აღზრდის საქმეს. სოფლის ახალგაზრდა ქალ-ვაჟები, ხშირად მოხუცებიც, იკრიბებოდნენ სამკითხველო დარბაზში და იმართებოდა სჯა-ბაასი წაკითხვის შესახებ.

1962 წელს აშენდა ახალი სკოლა. აგურით ნაშენები შენობა დროთა განმავლობაში მოძ-

ველდა, დაიბზარა კედლები, ცვიოდა ბათქაში, სახურავიდან ჩამოდიოდა წყალი, ბზარები თანდათან იზრდებოდა, რაც საფრთხის შემცველი იყო. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეამონმა არსებული მდგომარეობა, სამხარეოსის ექსპერტის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე ძველი შენობის დემონტაჟი მოხდა და აშენდა ახალი სკოლა.

სკოლა აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, აღჭურვილია ახალი დგამ-ავეჯით, ლაბორატორიებით, აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა სათანადო მხატვრული და მეთოდური ლიტერატურით, კომპიუტერული ლაბორატორია, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი, სადაც თავს იყრიან სოფლის ახალგაზრდები, აწყობენ შეჯიბრებს ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში.

სკოლაში სწავლა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა, 26 დღის განმავლობაში გაკვეთილები ონლაინ რეჟიმში ტარდებოდა. საკლასო ოთახებში სწავლა პირველ თებერვალს განახლდა. სკოლაში უსაფრთხო გარემოა – სადემონსტრაციო ხსნარები, დეზობარიერები, სანიტაიზერები, პირბადეები როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის; საკლასო ოთახებში დაცულია ერთმეტრიანი დისტანცია, ყოველდღიურად ტარდება თერმოსკრინინგი.

კოვიდ ინფექციის გავრცელებამდე მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ ღონისძიებებში: ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“, „ეტალონის“ ინტელექტუალური კონკურსი, სასწავლო ოლიმპიადები, ჩართულები იყვნენ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმში ჩატარებულ ღონისძიებებში.

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მიღებული გვაქვს სხვადასხვა სახის ლიტერატურა, სპორტული აღჭურვილობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო წლებიდან დასაწყისი სკოლის ესტუმრნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, მიხეილ ჩხენკელი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი დავით ფარცვაინია, შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე და კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები. ბატონმა მინისტრმა მოსწავლეებსა და პედაგოგებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა, დაათვალიერა სკოლის შენობა, სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი.

ლიანა ჯაღელი

ხოვლის საჯარო სკოლის დირექტორი





ნორვეგიის მთავრობასა და გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით ახალი პროექტი იწყება

ეროვნული განათლების სისტემის ხარისხისა და ინკლუზიურობის გაძლიერების მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ნორვეგიის სპეციალური საჭიროების საგანმანათლებლო სააგენტომ (სტატუსი) და გაეროს ბავშვთა ფონდმა სამ-წლიანი პროგრამა დაიწყეს.

აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები არიან 3-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, სოციალურად დაუცველ, სკოლის მიღმა დარჩენილ ან/და სწავლის შეწყვეტის საფრთხის ქვეშ მყოფ ბავშვებს. პროგრამა მათ დაეხმარება, მიიღონ ინკლუზიური და ხარისხიანი განათლება. პროექტი დაფინანსებულია ნორვეგიის მთავრობის მიერ და 2021-2023 წლებში განხორციელდება.

პროგრამის პრეზენტაციასთან ერთად, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა, მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, ნორვეგიის ელჩმა ჰელენ სანდ ანდრესენმა, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში ლასან ხალილმა და ნორვეგიის სპეციალური საჭიროების საგანმანათლებლო სააგენტოს გენერალურმა მენეჯერმა ანმარი ბექმან ჰანსენმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

„ძალიან მნიშვნელოვან პროგრამას ვინწყებთ ნორვეგიის მთავრობასა და გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით, რომელიც ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლისთვის

ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური განათლების განვითარება სამინისტროსთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით არაერთი მხარდაჭერი პროგრამა ხორციელდება. ვიმედოვნებ, რომ პროცესი მომავალშიც გაგრძელდება და ხელშეწყობს და ნაყოფიერ შედეგებს მოიტანს,“ – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

ჰელენ სანდ ანდრესენი ამბობს, რომ ოთხწლიანი თანამშრომლობა ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის ერთიან სტრატეგიულ ხედვას: „პროექტი ეფუძნება განვითარების პროგრამის ეროვნულ პრიორიტეტებს, მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებს და ითვალისწინებს საუკეთესო გამოცდილების, ცოდნისა და უნარების გაზიარებას პრაქტიკოს სპეციალისტებსა და თანამოაზრეთა შორის, ასევე, გაეროს წამყვანი სააგენტოს მხარდაჭერას, რომელსაც აღნიშნულ სფეროში დიდი გამოცდილება აქვს და ათეულობით წელია მუშაობს ქვეყანაში. პროექტის მიზანია, განახორციელოს თითოეული ბავშვის უფლება, განავითაროს პიროვნული თვისებები, ნიჭი, შემოქმედებითი უნარები, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები“.

„თითოეულ ბავშვს აქვს ხარისხიანი განათლების მიღების და სწავლის უფლება, – განაცხადა ლასან ხალილმა, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში – როგორც ყველა ბავშვს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსაც აქვთ სამომავლო გეგმები და ოცნებები, მაგრამ განათლების მიღების გზაზე ისინი ხშირად აწყდებიან მუდმივ ბარიერებს არსებული სტიგმისა და სასკოლო სივრცეში შეზღუდული შესაძლებლობის მომსახურებების არარსებობის გამო. ინკლუზიური განათლება ნიშნავს, რომ ყველა ბავშვი ერთად სწავლობს, ერთსა და იმავე სკოლაში და ქმნის მრავალფეროვან გარემოს საკლასო ოთახში. ეს ნიშნავს, რომ სწავლება და სწავლო გეგმა, სკოლის შენობები, საკლასო ოთახები, სათამაშო ადგილები უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის შესაფერისი. მაღლობს ვუხდით ნორვეგიის მთავრობას უდიდესი მხარდაჭერისთვის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და ეროვნულ და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით, ჩვენ ვიმუშავებთ, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ბავშვს ჰქონდეს სწავლისა და თავისი პოტენციალის განვითარების სრული შესაძლებლობა“.



პროგრამის განხორციელების შედეგად:

- ➔ შემუშავდება მასწავლებელთა ეფექტიანი სასწავლო პროგრამები და დამხმარე სწავლა-სწავლების რესურსები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს;
- ➔ შეიძლება გაუმჯობესებული ფიზიკური გარემოს მქონე რესურსსკოლები, შეიქმნება სასწავლო რესურსები და გადამზადდებიან სკოლის ხელმძღვანელები, პედაგოგები, საგანმანათლებლო ცენტრებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები;
- ➔ პარტნიორი სკოლები ბავშვებს უზრუნველყოფენ გაკვეთილების შემდგომი, სასწავლო, გასართობი და ზედამხედველობის ქვეშ თავისუფალი დროის ორგანიზების პროგრამებით;
- ➔ სახელმწიფო უნივერსიტეტებში შეიქმნება ცოდნის რესურსცენტრები/ბავშვთა უფლებების ცენტრები, რომლებიც ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობასა და ცოდნის გაზიარებას ინკლუზიური და ბავშვთა უფლებებზე დაფუძნებული განათლების შესახებ;
- ➔ გაძლიერდება მასწავლებელთა გადამზადების პროგრამები უნივერსიტეტებსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრებში, რათა ახალი მასწავლებლები აღიჭურვონ სათანადო ცოდნითა და უნარებით.

ერთობლივი საგანმანათლებლო მემორანდუმი

სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის ერთობლივი თანამშრომლობა ყოველთვის იყო წარმატებული საგანმანათლებლო აქტივობა, რომლის მიზანს მრავალფეროვანი პრაქტიკულ-შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობა წარმოადგენდა. უმთავრესი მიმართულება იყო, ერთი მხრივ, სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილებით გამდიდრება, მეორე მხრივ, სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაცია და პროფესიული ორიენტირების ხელშეწყობისათვის სისტემატური და თანმიმდევრული ზრუნვა.

დღეს, თანამედროვე ეტაპზე, როცა სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი მუდმივ სიახლეთა ძიებაშია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობითი მემორანდუმის მომზადება-გაფორმებას. სწორედ ამიტომ, სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის №1 საჯარო სკოლის დირექტორის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, **ფაქიზო ფან-**

ჩუღიძის ინიციატივით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ **როლანდ კოპალიანის** მხარდაჭერით, ამავე უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანატის აქტიური ჩართულობით, წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებითა და ხელშეწყობით, წყალტუბოს საჯარო სკოლების დიდი დანტერესებით, 11 მარტს, №1 სკოლაში საზეიმო ვითარებაში გაფორმდა წყალტუბოს საჯარო სკოლებსა და აკ. წერეთლის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

„ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, სტუდენტი ახალგაზრდობის, სკოლის პედაგოგების პროფესიული განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სკოლის მოსწავლეების პროფესიული ორიენტირებისათვის ხელშეწყობა“ – ასეთია მემორანდუმის მთავარი მიმართულება.

მემორანდუმის გაფორმებისადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრა გახსნა მასპინძელი სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ფაქიზო ფანჩუღიძემ, რომელმაც შთამბეჭდავად ისაუბრა სკოლისა და სასწავლებლის საქმიანი ურთიერთთანამშრომლობის როლსა და მნიშვნელობაზე. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მემორანდუმის საგანზე, მიზანსა და ამოცანებზე.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი როლანდ კოპალიანი, ამავე უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი მამული ბუჭუხიშვილი, ხარისხის მართვის ხელმძღვანელი ვლადიმერ ადვიშვილი, USAID-ის საბაზისო განათლების ხელმძღვანელი ნატო ქობულაძე, ასოცირებული პროფესორი თამარ მამარდაშვილი, ბანოჯის საჯარო სკოლის დირექტორი ნინო ნილოსანი, გვეთისის №1 საჯარო სკოლის დირექტორი მია მამისკვიციანი.

სტუმრებს მიესალმა სკოლის მომღერალთა გუნდი, რო-



მელმაც სკოლის ჰიმნი შეასრულა (ტექსტი – ოტია იოსელიანის, მუსიკა – მაკა ყორყოლიანის). საპატიო სტუმარს, უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ როლანდ კოპალიანს ქალბატონმა ფაქიზო ფანჩუღიძემ სახსოვრად გადასცა ოტია იოსელიანის წიგნი „დაჩის წერილები“ (ახალი გამოცემა), ტურიზმის ცენტრის წარმომადგენელმა, ირაკლი კუჭავამ კი სტუმრებს წყალტუბოს შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები უსახსოვრა. სტუმრებმა დაათვალიერეს ბატონი ოტიას კაბინეტ-მუზეუმი, არაფორმალური განათლების ოთახი, კაბინეტ-ლაბორატორიები.

იმ დღეს სკოლის ეზოში ერთობლივად დარიგო პალმის ნერგები. ბოლოს კი, საზეიმო ვითარებაში გაიჭრა ტორტი, რომელზეც №1 სკოლისა და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგოები იყო გამოსახული.

გვჯერა, მემორანდუმის ხელს შეუწყობს ურთიერთთანამშრომლობის კონცეფციის მთავარი მიმართულებების წარმატებით შესრულებას – სკოლის პედაგოგების პროფესიულ განვითარებას, სტუდენტი ახალგაზრდობის პრაქტიკის ორგანიზებას, სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას.

ოქროპირ სვანაძე
საქართველოს ურთელსიტა ფედერაციის წევრი,
წყალტუბოს საპატიო მოქალაქე



საზოგადოებრივი ლიტერატურაზე

ნოდარ დუმბაძე – „ჰელადოსი“



ნოდარ დუმბაძის ამ პატარა, ერთი შეხედვით არც თუ დიდ მნიშვნელოვანი, მაგრამ უდიდესი პრობლემებით დატვირთული მოთხრობით იწყებენ ჩვენი ბავშვები მეშვიდე კლასში მათი ასაკისათვის დამახასიათებელი თვითდამკვიდრების პრობლემის სწავლასა და გაანალიზებას; ამავდროულად იგებენ თუ როდენ მრავალფეროვანი იყო აფხაზეთის მოსახლეობა ეთნიკური თვალსაზრისით; მოთხრობის გმირების უჩვეულო ურთიერთობის ფონზე ეცნობიან იმ საოცარ დამოკიდებულებას ერთმანეთისადმი, რომელიც მათ შორის არსებობდა და, რომელიც ისეთი დიდი სიყვარულით იყო განმსჭვალული, როგორც მხოლოდ ნამდვილი სამშობლო უყვართ ადამიანებს. დიან, ავტორი მისთვის დამახასიათებელი უბრალოებით იწყებს თხრობას „სოხუმელი ბერძენის ხრისტო ალექსანდრიდისა“ და მისი შვილის „ნაფოტივით თხელი, ბეჭებანიერი... თითხმეტი წლის“ იანგულის შესახებ, რომელიც „კატასავით სწრაფი... კაჟივით მაგარი და ჯანმრთელი ვახლდა...“ თავდაპირველად, იანგულის „ყარალობისა და უსაქმურობის“ დახასიათების შემდეგ, მკითხველს თითქოსდა უარყოფითი შეხედულება უჩნდება მთავარი გმირის მიმართ, მაგრამ მოთხრობის სიუჟეტის განვითარებისთანავე მალევე ხვდება, რომ უჩვეულო პიროვნებასთან (მისი ასაკის მოუხედავად) აქვს საქმე.

დედით ობოლი იანგული მამასთან ერთად „ვენეციის ზატკეცილზე ცხოვრობდა“; მდინარე ჩალბაშის პირას მამა-შვილს „მინის ნაკვეთი ჰქონდათ, ხელისგულისოდენა ბოსტინით“. ერთი მარჩენალი ძროხა ჰყავდათ და „ერთიც ნაცრისფერი ჩოკინა“. მანონს, რძესა და მწვანის ჰყიდდნენ და ასე გაჰქონდათ თავი ამ პატარა მეურნეობით. თითქოს ღარიბული, დუხჭირი ყოფა დახატა მწერალმა, მაგრამ მოთხრობის კითხვისას აშკარად იგრძნობა, რომ მამა-შვილი „მცირედითაც კმაყოფილია“. იანგული სკოლაში არ დადის, სამაგიეროდ, „რკინიგზის გადასასვლელთან... სკოლიდან დაბრუნებულ ბიჭებს ჯიბეებს უჩხრეკს“. ჩვენი მოთხრობელი ამ „თითხმეტი წლის დიქტატორს“ სწორედ უჩვეულო მდგომარეობაში გაიცნობს: „იანგული ქვაფენილზე იჯდა ფეხმორთხული და კაკალს ამტვრევდა ავურის ნატეხით“. მუსიკის მასწავლებლიდან მომავალი დეიდადის მისი და დროს ჩაუვლიან გვერდს. იანგული დეიდა ნინას თავზაიანად მიესალმება, მაგრამ იგივენაირ პასუხს უკან ვერ ღებულობს; ჯემალს დაინტერესებს მისი ვინაობა, დეიდა კარგს არაფერს ეტყვის: „არ დაგინახო მაგასთან გაელილი, ხულიგანია, დღე და ღამე ქუჩაში გდია“. ამ „არაჩვეულებრივი“ დახასიათებისა და გაფრთხილების შემდგომ, წესით, ჯემალს მისგან თავი შორს უნდა დაეჭირა, მორიდებოდა, მაგრამ სკოლაში სიარული რკინიგზის ლიანდაგის გავლის გარეშე შეუძლებელი იყო და ამდენად „იანგულის ყოველდღიური შეხვედრა გარდაუვალი შეიქმნა“. უარკვეული ხნის განმავლობაში „სკრინიკა“ ისე გაუვლიდა, უზნის ბიჭებში, „კოჭობანასა და პაყარობანას“ თამაშით გართულ იანგულის, რომ ის ყურადღებას არ აქცევდა. ჯემალიც იმ ასაკში იყო, როცა მოზარდს თავის გამოჩენა სურს: „ერთი სული მქონდა ბიჭებში გავრეულიყავი და იანგულის მსგავსად მეც მეჩვენებინა ჩემი შინა და მარიფათი, ...მაგრამ ვერ უბანში უცხო, უამხანაგო, უმეგობრო და უდამქაშო ვიყავი“. მას მხოლოდ დეიდაშვილი – კოკა იცნობს და ისიც იანგულის „ქვეშევრდომია“. ამიტომ, მასთან და მის „მრევლთან“ მისვლას ვერ ზედვს, თუმცაღა გრძნობს, რომ მათი „ურთიერთობა“ „ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებს“. ძალიან მარტივად, ყველა ასაკისა და სოციალური ფენის მკითხველისათვის, გასაგებ ენაზე გადმოგვცემს მწერალი ურთულეს ასაკში მყოფ მოზარდებს შორის, რომლებიც ვერ არც კი იცნობენ ერთმანეთს, არსებულ დაძაბულობას, რომელიც აუცილებლად შეტაკებით დასრულდება, მაგრამ როდის და რა იქნება ამის მაპროვოცირებელი ჯერ არავინ იცის. და ისევ დუმბაძისეული ჩუმი იუმორით, მსუბუქად და მარტივად გებულობს მკითხველი პროვოცირების მიზეზსაც და „ყოჩების“ დაჯახებასაც. როდესაც ჩვენი მოთხრობელი, მუსიკის მასწავლებლის „მთელ სოხუმში სახელგანთქმული ელენე მიხაილოვანა ნანდროსკაიას“ „ოქროს თევზებს“ მონამლავს, უნებურად, და უცებ გახდება „Паришский мальчик и варвар“. უკან დაბრუნების იმედგადასწრული, „თავზარდაცემული, შერცხვნილი და ცოცხალ-მკვდარი“ მიაბიჯებს სახლისაკენ, სწორედ მაშინ „გაუნებს გული იანგულისა და მისი დამქაშებისაკენ“ – თითქოს მარს ექიბდა და გადაეყარა კიდევ. იანგული ჩვეულებისამებრ შეეცდება მის „დამორჩილებას“, მაგრამ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას გადააწყობს. და როდესაც ჯემალს საკუთარი ვილიონო „ბრტყლად“ დაემხოვა თავზე და „მუაზე გადაიხსენ-

ბა“, იგი მისთვისაც მოულოდნელი რეაქციით პასუხობს მეტოქეს – „უცებ, რაც ძალი და ღონე მქონდა, დავეკარი ამ ყბას გაციებული მუშტი“. დამეთანხმებით, „მამლაყინების“ გასაოცარი ორთაბრძოლა აღწერილი, მაგრამ კიდევ უფრო უჩვეულოდ გახლავთ გადმოცემული დეიდა ნინას რეაქცია, როცა „იანგულის მარჯვენა ხელი“ და მათი მეზობელი პეტია, დამტვრეულ ვილიონოს, თავის ყუთიანად, შესასვლელ კართან დაუგდებთ: „დეიდაჩემო ვერ პეტია შეიცხადა, მერე ვილიონო, მერე იანგული ალექსანდრიდი, მერე მე და სულ ბოლოს დეიდაჩემი“. ამ შემთხვევის შემდეგ ჯემალის „მუსიკალური ოდისეა“ სრულდება და იწყება „ბრძოლა არსებობისათვის“. რა თქმა უნდა, იანგული ვერ აიტანდა „უბანში შერცხვენას“, მას აუცილებლად იმავ „საზოგადოების“ წინაშე ისე უნდა „დაესვა“ მონინალმდევე, როგორც თავად „დასვეს“, მაგრამ იმ ერთი დარტყმის შედეგად იანგული ხვდება, რომ ეს არც ისე იოლი შეიძლება იყოს და ჯერ ცალკე აპირებს ჩხუბს „პატიოსნად“. „პატიოსნად რას ჰქვია“ – უკვირს ჯემალს; იანგული უხსნის, რომ ჩხუბში სხვა არ უნდა ჩაერიოს, რომ „გინება არ იყოს, ქვა არ იყოს, ნაქცეულის ცემა არ იყოს“. ქუჩაში გაზრდილი ბავშვის პირობაზე კი არა მხოლოდ, არამედ, ზოგადად უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებისათვისაც კი ეს არაჩვეულებრივი ცხოვრებისეული კრეფია, რომელიც ქართულ მწერლობაში არა ერთმა მწერალმა უკვე თქვა, მაგრამ დუმბაძე ამბობს თავისებურად, მარტივად, ყველასათვის გასაგებად. სხვის იმედად ბრძოლა ვაჟაკობა არაა, მტრის შეურაცხყოფა ასევე, მონინალმდევის სასიკვდილოდ გამეტება არათანაბარი იარაღისა და ძალის გამოყენებით და, რაც ყველაზე მთავარია, დამარცხებულის დაჩაგვრა. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ აკაკის სიტყვები პოემიდან „თორნიკე ერისთავი“ – „ნურვიც გაბედავს დატყვევებულს რომ მიაყნოს შეურაცხყოფა, ვაჟაკს რომ ბედი სხვის დაამონებს დასატანჯავად ისიც ეყოფა!“. შეუძლებელია ასევე არ გაახსენდეს ადამიანს ნუგზარ ნერეთლის მოგონება გურამ რჩეულიშვილთან დაკავშირებით, როდესაც მან მთანმინდაზე, გარდაუვალი შეტაკების წინ, დანა, რომელსაც სულ სხვა საჭიროების გამო თან ატარებდა, ჯიბიდან ამოიღო და ხეში გადარგა, რომ უცაბედი რეაქციის შედეგად ვინმეს არ გამოეყენებინა. ეს პატარა „დექტატორი“, თავის ღირსებითა და პატიოსნებით, დიდ გმირებსა და პიროვნებებს უტოლდება, იგი ვაჟას ალუდა ქეთელაურსაც წააგავს გარკვეული შტრიხებით, მაგრამ ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ. ჯემალი ჯერ უარზეა, ეუბნება, რომ მას ყოჩობა არ აინტერესებს, და „თავი დაანებოს“, მაგრამ აქაც თავისი „ნესი და კანონი“ ჰქონია ქუჩას: „შენ რომ ჩემზე დიდი იყო, დაგანებებდი, მაგრამ შენ ჩემზე ერთი წლით პატარა ხარ“; ამიტომ შეტაკება გარდაუვალია, „თუ მოგერიე, ხვალ იმავე უზნის ბიჭებთან ცეცემ, რომლებთანაც დამსხი, მერე მოგეშვები“.

დამეთანხმებით, იანგული თავგამოდებით იცავს საკუთარ თავმოყვარეობას, თან პატიოსნად, პირადად, ვინმეს დახმარებისა და ჩარევის გარეშე; არა ისე, დღეს არაერთი მკვლელის მავალით რომ ვიცით უფროსებისა, „ძალოსნებისა“ (ამ სიტყვის პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით), ძმაცაცებისა,

უბნელებისა თუ სხვათა და სხვათა ჩარევის შედეგად საშინელი სადიზმით რომ დამთავრებულა. სად გაქრა ამ გმირების პატიოსნება, თავმოყვარეობა, სიმამაცე, უშიშობა; გავიხსენოთ რამდენჯერ დაძლევს ჯემალი იანგულისთან ურთიერთობის დროს შიშს და კოკასაც დააძლევინებს. ალბათ უმთავრესი მიზეზი მაინც არცოდნა და არასწორად აღზრდაა. სკოლაში ისე არ ან ვერ ხსნიან ამათუ იმ მხატვრულ სახეს, რომ ის გმირის ან ანტიგმირის სიმბოლოდ ჩამოყალიბდეს მოზარდის ცნობიერებაში, აქედან კი მომდინარეობს, შეიძლება ითქვას, ყველაფრის აღრევა და არევა – ფასულობების, სიტყვათა მნიშვნელობების, სწორი და არასწორი ქცევის, თავისუფლების, უფლებების, მოვალეობების, გრძობების... და საბოლოოდ ვღებულობთ თავდაყირა დაყენებულ მოზარდს, თუმცაღა ვერც დიდ აკაკის დავივინებთ და ვერ უარყოფთ, რომ ხანდახან სწორი „წერთაც“ ვერაფერს შევლის „თუ ბუნებამც არ უშველა“. დავუბრუნდეთ ჩვენს გმირებს: ორთაბრძოლის წინ იანგულიმ „შავი სატინის ხალათი“, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ გაუხდელად ატარებდა, გაიხადა და მის „გაშლილ მკერდზე“ ჯემალმა „ლათინური ასოებით ამოსვირინებულ“ სიტყვა – HELLDOS – ამოკითხა, რამაც, დაუფარავად გვეუბნება, რომ „უცებ შეაკრთო“, მაგრამ უკან აღარ იხევს ვაჟაკურად. „იანგულიმ რალაც უთხრა პეტიას ბერძნულად“, რის შემდეგაც – „პეტიაში ორი დიდი ქვა ამოიღო ჯიბეებიდან და უხალისოდ გადაყარა“; პეტია, სახელის მიხედვით, ალბათ რუსი უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მას მეგობრის ბერძნული კარგად ესმის. მოთხრობაში კვლავ ვნახავთ, რომ სოხუმში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის პატარები თუ მოზარდები ერთმანეთის ენებს სალაპარაკო დონეზე თავისუფლად ფლობენ. მათ ურთიერთობას, ამ თვალსაზრისით, წინ არაფერი ეღობება. მათი ჩხუბი ორ-სამ წუთს გრძელდება – „მე შეკრული მუშტით ვჩხუბობდი, ...იანგული გამშლილი ხელით. ჩემი დარტყმული ყრუ ხმას გამოსცემდა, მისი კი ქვეყანას აზანზარებდა...“ „გულშემატკივრები“ ბერძნულ-ქართული შეძახილებით ამხნევენდნენ. მეტოქეებმა ღირსეულად იბრძოლეს და როცა ზუსტად ისე დაჯდა ჯემალი მინაზე, „როგორც გუშინ იანგული“, იგი ტუნქსივით და წარბგახეთქილი დამემშვიდობა. შინ დაბრუნებული, „ბულიკით“ სახედასივებელი ჯემალი, რატომღაც დეიდამ არ „შეიცხადა“, პირიქით, „ცივი კომპრესები“ დაადო სახეზე; მეორე დღით კი „იანგულის მამას, ხრისტოს, ზუსტად ისე დააფშვინა მანწინის ქილა თავზე, როგორც იანგულიმ მე ვილიონო და ციხეში ამოღობას დაჰპირდა მის გათახსირებულ და ზულივან შვილს, საბჭოთა პიონერის ასე უღმერთოდ ცემისათვის“.

მოთხრობის სიუჟეტის განვითარებისას ვხედავთ, რომ დედის დაპირება დაპირებდა დარჩა და უფროსების ჩხუბი მხოლოდ მანწინის ქილის თავზე დაფშვინით შემოიფარგლა, დღევანდელი მდგომარეობისგან განსხვავებით, მხედველობაში მაქვს დაუსრულებელი სასამართლო პროცესები, დაუსრულებელი მტრობა და სიძულვილი. ამ მოვლენების გადამკიდეს ხანდახან ეჭვიც მიპყრობს – მართლა „ვეფხისა და მოყმის“ ქვეყანა ვართ? სად გაქრა ის ურთიერთთანაგრძნობა, მოკლული შვილის დედას რომ ათქმევინებს და აფიქრებინებს – „იქნება ვეფხის დედაი ჩემზედ მწარედა სტირისა?“. მე მგონია, რომ თანამედროვე ადამიანის ტვინიდან საერთოდ გაქრა ფიქრი; აღარ გვცალია ფიქრისათვის. არადა ვაჟას მთებისთვისაც კი ის „კაცობის გვირგვინია“; შეგახსენებთ, რომ ქართული სიტყვა „კაცობაში“ ორივე სქესს გულისხმობს, წმინდა წერილისამებრ – „მამაკაცად შექმნა იგი და დედაკაცად შექმნა“ (შესაქმე). დიდი ილია შემთხვევით არ ამავილებს ამ ტერმინზე ყურადღებას, როცა ოთარაანთ ქერიც „ბარაქალა დედაკაცს“ უწოდებს, ან რუსულ „ბაბას“ და ქართულ „დედაკაცს“ ერთმანეთს დაუპირისპირებს. ეს „ლანირაკები“ კი, როგორც ვხედავთ, უამრავ რამეზე ფიქრობენ და პრეტენზია აქვთ „კაცობაზე“. მოგვიანებით ვნახავთ, რომ სამართლიანი პრეტენზიაც ჰქონიათ. ჯემალმა თავისი პირობა – „ხვალ მაინც ვცემ“ – აასრულა და ერთდღიანი პაუზის შემდეგ, „რკინიგზის გადასასვლელთან“ გამოცხადდა. იანგული ეტყობა აღარ ელოდა დამარცხებულ მონინალმდევეს და მის დანახვაზე ვაკვირებისგან თვალები გაუფართოვდა. ბიჭებმა გასახელებელი ყიფინა დასცეს: „თავისი ფეხით მოვიდა ბულიკი, მიდი ერთი შეჭამე“. მივუახლოვდით იმ მონაკვეთს, როცა მწერალი რამდენიმე მნიშვნელოვან ტერმინსა და სიტყვას იყენებს. იანგულიმ ბრძოლის



საუბრაბი ლიტერატურაზე

დაწყების ნაცვლად „ტრიბუნით“ ხელი მაღლა ასწია „ბრბო დაანყნარა და ისტორიული სიტყვით მიმართა თავის ხალხს“...

ინგლისის ეს სიტყვები იმდენად არ შეესაბამება ბიჭების ჩხუბის რეალურ მიზეზსა და მოთხოვნის კონტექსტს, რომ მკითხველი აშკარად ხვდება, ძალიან მნიშვნელოვან, მტკივნეულ, სენსიტიურ თემას ეხება მწერალი და ოსტატურად ამბობს...

ინგლისი გადანაცვლები, ცალი ხელით შეებრძოლოს „მეტრს“, მაგრამ არათანაბარ მდგომარეობაში მყოფ მონინალმდეგეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი „გამეტებით“ ურტყამდა, ჯემალი ხელს არ უბრუნებს, ინგლისი ჩერდება და როცა წრიდან გასულ

ჯემალს პეტია კვლავ „სკრიპკას“ დაუძახებს: „უცებ გავიგონე გაშლილი ხელის ლანანი (ამბობს ჯემალი), ეს უკვე პეტიას ყბაზე გაღებულ იანგული ხელის ხმა იყო... დღევანდელი ჩხუბი იანგულიმ წავიკო“...

ვინაშით რა განცდა ეუფლება გამარჯვებულ ჯემალს და როგორ ღრსეულად ლეებულობს ინგლისი მარცხს. „საოცარი ის იყო ჩხუბის აღარ ხალისი მქონდა აღარც სურვილი“...

გულია ის უმაღლესი რელიგიური ორგანო, რომელსაც, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, თავისი სმენა აქვს, საკუთარი ხედვა და დაუფინყარი მეხსიერება; მხოლოდ იოანე საბანისძის „მომიპყარი ყურნი გულისა თქვენისანი“ რად ღირს!? ხოდა მისი წყალობით ვერ შეძლებს იანგული გულისხმის დახშობას (თავგანწირვას შეძლებს) და გემის ქიშხე მდგარი ინგლისის უკანასკნელ სიტყვებს: „ჯემალე მე მიყვარს დედაშენი“...

ახლა ორიოდ სიტყვით მინდა შევეხო მთავარი გმირის სახელს. შესაძლოა ავტორს არც უფიქრია ასე, რასაც ახლა გეტყვით, მაგრამ გამორიცხულიც არაფერია; ასეა თუ ისე, ის ნამდვილად ფაქტია, რომ სახელში – ინგული – გული ფიგურირებს. არ ვიცი ბერძნულ ენაში სუფიქსი – იან – რამეს თუ ნიშნავს, მაგრამ ქართულში რაღაცის მფლობელს ნამდვილად ნიშნავს – ქუდიანი, ჩოხიანი, გულიანი; ამ საკითხზე დაფიქრებამ ბავშვობის ერთი თამაში გამახსენა – სიტყვის შემადგენელი ბგერები ერთს უკუღმა უნდა დაგველაგებინა და მეორეს უნდა გამოეცხონ ეს სიტყვა (სახელიც ერქვა ამ თამაშს, მაგრამ აღარ მახსოვს). თუ ასე მოვიქცევით, გამოდის, რომ გმირის სახელი მწერალმა სიტყვიდან – გულიანი – მიიღო, მცირეოდენი კომბინაციის შედეგად. სერგო კლდიაშვილი მამის, დავით კლდიაშვილის, შესახებ წერს: „მან სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა რაღაც ბავშვური“...

თამარ ქობარიძე სიბე ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა: • ვახტანგ როდონია, ქართული ენა და ლიტერატურა, VII კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სწავლანი“, 2020; • ინტერნეტრესურსები.



კახეთის რეგიონის კოლექციური სასწავლო პროცესი რვეულ რეგიონში მიმდინარეობს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი განახლებული სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და პროფესიულ სასწავლებლებში დასულ სანიტარულ ნორმებს კახეთის რეგიონის პროფესიულ სასწავლებლებში გაეცნო. ამ მიზნით იგი დედოფლისწყაროს, ლაგოდეხისა



და ახმეტის მუნიციპალიტეტებში მდებარე კოლექციებს ეწვია.

კოლექცია „აისის“ სამივე ლოკაციაზე სასწავლო პროცესი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დაცვით, სრულფასოვნად 15 მარტიდან განახლდა. თამარ ქიტიაშვილის შეფასებით, სასწავლებლებში ყველა პირობა შექმნილი იმისათვის, რომ სტუდენტებმა პროფესიული განათლების მიღება უსაფრთხოდ შეძლონ.

მხარდაჭერაზე ორიენტირებული მონიტორინგის პარალელურად, მინისტრის მოადგილე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან – კახეთის გუბერნატორთან, ირაკლი შიოშვილთან და გუბერნატორის მოადგილესთან, პლატონ კალმახელიძესთან ერთად, მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი წარიმართა კოლექციების განვითარების პერსპექტივებსა და პროფესიულ განათლებაში ადგილობრივი ბიზნესის ჩართულობის აუცილებლობაზე, რაც, თამარ ქიტიაშვილის თქმით, რეგიონის საჭიროებებს მორგებული პროფესიების განვითარების წინაპირობაა.

კოლექცია „აისი“, რომლის სასწავლო ინფრასტრუქტურა განთავსებულია გურჯაანში, დედოფლისწყაროში, ლაგოდეხსა და ახმეტებში, კახეთის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი პროფესიული სასწავლებელია. შეთავაზებული მრავალფეროვანი პროგრამები ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს, სასურველ პროფესიას ადგილზე დაეუფლონ, მათ შორის, სატყეო საქმეს, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიებს, იატაკისა და ფილის სამუშაოებს, მეფუტკრეობას, მეფეხურობას, ელექტროობას, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიას, მევენახეობა/მეღვინეობას, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებას, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებას, ვეტერინარიას, ხის მხატვრულ დამუშავებასა და კულინარიულ ხელოვნებას და სხვ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალვანში მოქმედ კოლექცია „აისის“ ტერიტორიაზე, საქართველოს განათლებისა და




მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო სასწავლო სახელოსნოს აშენდა. მშენებლობა აქტიურ ფაზაშია და უახლოეს მომავალში დასრულდება.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ სახელოსნოში ახმეტის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი პროფესიის – კერამიკული ნაწარმის სპეციალისტები მომზადდებიან.


სახელოსნო შესაძლებლობას მისცემს კოლექცია, გაზარდოს პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა. აღნიშნული პროგრამის ხელშეწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი დარგთაშორისი კავშირების განვითარებას უწყობს ხელს (მევენახეობა/მეღვინეობაში – ქვეყნის წარმოება, ტურიზმი – სუვენირების დამზადება) და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლებს ზრდის.

კახეთის რეგიონში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი სახელოსნოს მშენებლობის პროცესს გაეცნო და მომავალი კერამიკოსების ნამუშევრები დაათვალიერა.

ქიმიის პედაგოგთა დასახარებლად



ჩვენს ეხსიერებაში



ანგარიშის საფუძველზე 9-ე კლასის სწავლის დასრულების შემდეგ უწყვეტი ქიმია და წყვეტი ქიმია ერთობლივად უნდა სწავლიან. ქიმიის საფუძველზე უნდა შეიქმნას ქიმიის საფუძველზე სწავლის პროგრამა და სწორედ ქიმიის საფუძველზე უნდა შეიქმნას ქიმიის საფუძველზე სწავლის პროგრამის საფუძველი. ქიმიის საფუძველზე უნდა შეიქმნას ქიმიის საფუძველზე სწავლის პროგრამის საფუძველი.

ფონდი „სოხუმი“


უსაფრთხო სკოლა – არაძალადობრივი გარემო მოზარდებისთვის

ფონდი „სოხუმი“ ინიციატივით, ZOOM პლატფორმაზე, მრავალი მაგიდის ფორმატში, ონლაინ შეხვედრა გაიმართა თემაზე: „უსაფრთხო სკოლა, არაძალადობრივი გარემო მოზარდებისთვის – არსებული ინსტრუმენტები, რესურსები და მათი ეფექტიანობის გაძლიერების საშუალებები“, რომელიც მიეძღვნა: მანდატურის, უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელი პირების როლის და ფუნქციების განხილვას სკოლებში; გენდერული სტერეოტიპების მსხვერვის, ბულინგის, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ძალადობის შემთხვევების მართვის მიმართულებას; ასევე აღნიშნული ფუნქციების შესრულების გზაზე მიღწეული პროგრესის, არსებული ბარიერებისა და გამოწვევების დაძლევის შესაძლო გზებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ მანდატურები, სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, სსსპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი, სკოლის დირექტორები და პედაგოგები.

ფონდი „სოხუმი“ თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ეკატერინე გამახარიაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ფონდი „სოხუმი“ საქმიანობა, გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

ემა კამკიაშვილმა, ფონდი „სოხუმი“ მონიტორინგის და ადვოკატირების ჯგუფის წარმომადგენელმა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის – „სკოლები გენდერული თანასწორობის, გენდერული სტერეოტიპების, ოჯახში ძალადობის გამოწვევების პირისპირ“ მიგნებები წარმოადგინა. ფონდის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს სკოლებში უსაფრთხო გარემოს შექმნის საქმეში მანდატურებისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების როლის მნიშვნელობაზე.



მანდატურების საქმიანობაზე, მიღწეულმა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა მანდატურის სამსახურის წარმომადგენელმა, ნინო ებრალიძემ. მან შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია, 2019 წლიდან, თბილისის, გორის, ბათუმის, რუსთავისა და ქუთაისის 11 საჯარო სკოლაში განხორციელებული საპილოტე პროგრამის შესახებ, რომლის ფარგლებშიც, მიმდინარეობს აღნიშნული სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლების, პედაგოგების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების გადამზადება ისეთ საკითხებში, როგორცაა: სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელი ქცევითი და ემოციური პრობლემები და მათზე რეაგირების ეფექტური სტრატეგიები, ძალადობრივი ქცევის ამოცნობა, რეაგირება და პრევენცია. მან ასევე ისაუბრა, მანდატურის სამსახურის მიერ, მომზადებული ძალადობის პრევენციისა და დესტრუქციული ქცევის ამოცნობის მოდულსა და მასწავლებლებისა და სოციალური მუშაკებისათვის ონლაინ სივრცეში ძალადობის ამოცნობის გზამკვლევებზე. მანდატურის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპის საბჭოსთან, რომელმაც სპეციალურად მათთვის შეიმუშავა ადამიანის უფლებების სასწავლო პროგრამა და სწორედ ევროპის საბჭოს მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა გადაამზადეს მანდატურის სამსახურის 20 თანამშრომელი.

მრავალი ინოვაციური პროგრამის დანერგვისა და გარკვეული მიღწევების მიუხედავად, ისევ გამოწვევად რჩება მანდატურის სამსახურის აღნიშნული პროგრამების დაფარვის შეზღუდული არეალი. საქართველოს სკოლების უმრავლესობისთვის კვლავ მიუწვდომელია ის სატრენინგო მოდულები და გადამზადების სახელმძღვანელოები, რომლებიც მხოლოდ საპილოტე სკოლებშია უზრუნველყოფილი და ეს არათანაბარ სასტარტო პირობებში ამყოფებს დანარჩენ საჯარო სკოლებს.

ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება კოორდინაციის მექანიზმის სისუსტე მშობლებს, მანდატურსა და სკოლას შორის. სწორედ სკოლისა და მანდატურის კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებთან ერთად, 2019 წელს, საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში, შეიქმნა მრეგვლთა საბჭოები, რომელთა საქმიანობა პანდემიის შედეგად მნიშვნელოვნად შეფერხდა.

როგორც სკოლის მანდატურები აცხადებენ, გაცნობიერებული აქვთ საკუთარი როლის მნიშვნელობა ძალადობის პრევენციის საქმეში. შეხვედრაზე მათ ხაზი გაუსვეს მანდატურის სამსახურის მხარდაჭერის მნიშვნელობას, ასევე გამოკვეთეს გარკვეული გამოწვევებიც.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არის მანდატურის შესახებ ცნობიერების ამაღლების საჭიროება. ერთ-ერთმა მანდატურმა, დისკუსიისას, გაიხსენა შემთხვევა, როცა თავიდან სკოლის დირექტორთან ჰქონდა გარკვეული პრობლემა: „თუ დირექტორს სურს თანამშრომლობა, ჩვენ ვემუშაობთ იდეალურად. წარსულში იყო შემთხვევები, როდესაც ცალკე, განყენებულად ვიყავით წარმომჩენილები და თანამშრომლობის ხარისხიც ძალიან სუსტი იყო. დღესდღეობით, უკვე მეტ-ნაკლებად გაცნობიერეს ჩვენი დამოკიდებულება როგორც მოსწავლეების მიმართ, ასევე ჩვენი სამსახურის მიმართ, რომ ცუდი არავისთვის გვინდა, ვემსახურებთ უსაფრთხოებას და უჩვენოდ არაფერი კეთდება.“ – განაცხადა მანდატურმა.

დისკუსიისას, ფსიქოსოციალური ცენტრის შესახებ საუბრისას, აღნიშნა მშობლებსა და მოსწავლეებში არასაკმარისი ინფორმაციის არსებობა; მანდატურის სამსახურისა და აღნიშნუ-

ლი ცენტრების ცხელი ხაზის შესახებ დაბალი ცნობიერება. ასევე, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა არც კი იცოდა მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების შესახებ.

ფსიქოლოგის მომსახურების ერთგვარ (საკუთარ პრაქტიკაში არსებულ) სტიგმატიზებაზე გაამახვილა ყურადღება ერთ-ერთმა მანდატურმა: „გადამისამართების დროს, როდესაც მშობლებს ვეუბნები, რომ ფსიქოლოგის ჩართვა საჭიროა, ეს ერთგვარ სტიგმად აღიქმება მათი მხრიდან – „რას ლაპარაკობ, რა ფსიქოლოგთან?! გითქვი არ არის ჩემი შვილი!“

დისკუსიის ნაწილში დაისვა საკითხი იმ გამოწვევაზე, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, თან ახლავს ფსიქოსოციალური მომსახურების მისაღებად, მოსწავლის, მაგალითად, სოფლიდან ცენტრალურ ქალაქში ტრანსპორტირებისათვის ხარჯები (ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრები ლოკალიზებულია მხოლოდ ცენტრალურ ქალაქებში). თუმცა, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროებისას, კრიზისული შემთხვევების დროს, არსებობს ფსიქოლოგების ადგილზე ჩასვლისა და შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენის ან ონლაინ კონსულტაციების პრაქტიკა.

ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორმა გულსტკივილით ისაუბრა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შეთავსებითი სამუშაოს მთავარ გამოწვევებზე. დღესდღეობით არსებული პირობების ფარგლებში, ისინი არ არიან მზად ბოლომდე შეასრულონ ის მისია, რასაც უსაფრთხო სკოლის კონცეფცია აკისრებს სკოლას და თავად უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს: „როდესაც ცალკე მტატი არსებობს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის, მისი ანაზღაურება მეტი უნდა იყოს. ახლა 100 ლარია, რაც მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ რომელიმე პედაგოგმა შეითავსოს. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, მეტი ანაზღაურება და ამ შემთხვევაში, შესაძლებელია ფიქრი იმაზე, რომ ის იყოს თავისუფალი პირი, რომელიც სრულად, მთელი სამუშაო დღის მანძილზე გასწევს თავის სამსახურებრივ უფლებამოსელობას, გაცილებით უკეთესი ხარისხით.“

ფონდი „სოხუმი“ აგრძელებს სკოლებთან და მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებთან თანამშრომლობას, სკოლებში უსაფრთხო და არაძალადობრივი გარემოს შექმნის მიზნით.



ლადო გუდიაშვილი 125

წელს ღადო გუდიაშვილის 125 წლის იუბილე აღინიშნება. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში იუბილესადმი მიძღვნილი ახაეთი ღონისძიება დაგეგმილი, მათ შორის, მთელი წლის განმავლობაში, საჯარო ღიებები მხატვრის პაიხური ცხოვრების შესახებ. მთელი წლის განმავლობაში, მუზეუმში, გამოფენილი იქნება მხატვრის ცნობილი ნამუშევრები.


19 მაისს, ღადო გუდიაშვილის იუბილეს და ფხანგელი ენისა და ფხანჯოფონის საერთაშორისო ღლესთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრმა ნაჩოადგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღომანელი ფილოლოგიის კათედრის ასისტენტი-პროფესორის, ნინო ჯავახიძის ღიება - „ღადო გუდიაშვილის პაიხური ღლესახსენად“. ღონისძიებას ნახადგენდა ხელოვნებათმცოდნეობის ღოქტორი ეკა კიკნაძე.

ღადო გუდიაშვილის ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო პეიოდი პაიხური პეიოდი იყო. პაიხური მისთვის ნახმატებისა და პოპულარიზაციის მომტანი აღმოჩნდა. 1922 წელს „ღიქოხნის“ გლეხებაში პეიხონადეი გამოფენა მოაწყო, ხასად ედი გამოხმაურება მოჰყვა. პეიხა წეხდა: „პაიხურში ეს ახადგახდა კაცი ავლენს სასწაულებიო მისწადებას დახრეს ქაიხივად, თავისი მთების, ხელოვნების ქიხივად“.



1925 წელს, მისი მეოხე გამოფენა გლეხება „ბიიხურში“ მოწყო და ისევე დი გამოხმაურება ჰქონდა. იმ დღის ცნობილი ფხანგი ხელოვნებათმცოდნე ანდე საღმონი წეხდა: „ღადო გუდიაშვილის ექსპოზიცია რენთვის იყო აღმოჩენა, ღმელმაც ეაღეხად თავისებური მხატვარი ნახმოგვიდგინა. იგი ახიოვნებს ისევე ხივად ან, შესადლოა, ისევე სადად ღმოხივ ადამიანები მისი ქვეწისა, ღმელსაც უქვეწის ცივილიზაცია აქს...“.

პაიხურში ღადო გუდიაშვილმა 6 დავუწყაიხი წელი გაატა, მეგობრებთან ქე-



თად. მისი საყვარელი კათე იყო „ღმოწნა“, ღმლის ხშირი სტუმარიც გახდათ. გამოჩენილი იყო შეხვედრები პიკასოსთან, მატისთან, ნატალია გონჩაროვასთან, მინაილ ღაილონოვთან და სხვ. მეგობრობდა ამდემო მოღიღინისთან. ქე-თხელ მოღიღინისთვის პოლონელ გიფინიას უთხოვია დახაკვა. მხატვარიც დახაკვა, მაგამ გიფინია ეამყოფილ დაიხენილა და ისე წასულა, თანხაც აი დაუტოვებია. მოღიღინის უთქვამს: „რემო ღადო, ამ ნახატის ფასი მხოლოდ შენ იცი, მინდა რემგან სამახსოვროდ გქონდესო“. ასე მოხდა ღადო გუდიაშვილის კოლექციამი მოღიღინის იმ დღის დანუბელი და დაუფასებელი ნახაკი.

აი, ღმოხ იხსნებს სამხატვრო აკადემიის ხელოხი გია გუგუშვილი ღადო გუდიაშვილის დაიხადვის ღლეს: „80-იან წლებში ხდება ეს, ღმდესაც ახად-გახდა ვაი. ვიყუხები აივნიდან იმიტომ, ღმმ შეუძლებელია ქეჩამი გავლა. ქე-შუეთის ეკლესიიდან მღის საზოგადოება, გადატენილი ქეჩა და მოასვენებენ ბატონ ღდოს, ხელით მიჰყავთ. ძალიან დიდი სიყვარულია ეს. აიიან მხატვრები, ღმლებიც საოცრად დიდები აიიან, მაგამ აიის ეივუვ სახადლო მხატვარი, გელის მხატვარი. ესეთი სიყვარულიც კალა მოსდევდა მას. დიდი შლეფი იყო მთელ ხესთაველზე, ეს ქიხივების ხედიი, რემი ახიით და აი, ასეთი იყო ბატონი ღადო თვითონ“.



სამოვლილო გაცეოლო

5 ღარი

12 ღარი

10 ღარი

9 ღარი

გამომცემლობა „ახალი განათლება“

მთავარბეგბე

სიხლე

მხატვრული

მისწავლალის გამოსვლისთვის

ფასი - 27 ღარი

ტექსტის გააწარება

15 ღარი

ნიგბი თავოყური

I-IV კლასების მისწავლალთა კოგნიტივური საგამოსლო მასალა, კითხვა-პასუხის და ტესტების სახით

ფასი - 17 ღარი

წიგნის თარო

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

აროწული გამოსვლისთვის

ნიგბი I

V-XVII სს მწერლობა

ნიგბი II

XIX საუკუნის მწერლობა

ნიგბი III

XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი - 13 ღარი

ხალოწერიის თანხა ზადოწრისხით რაკვიზიტბეზა:

მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი განკი“, კ/კ LBRTGE22

შეკენის მსურველები დაგვიკავშიროდით:

555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

სწავლების ინტერაქტიური მეთოდები

10 ღარი

ქართული (I-VII) მისწავლალთა გამოსვლისთვის

11 ღარი

პროფესიული უნარები თეორიული მასალა

15 ღარი

პროფესიული უნარები ტესტები

15 ღარი